პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ა. კ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 15 კაპ.
ორშაბათი,
21
იანვარი
1935 წ.
№ 19 (4176)

დღეს ნომერში

- მოღალატეებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს („პრავდის“ 18 იანვრის მოწინავე. 1-ლი გვ.).
- კიდევ სარემონტო კამპანიის შესახებ (მოწინავე. 1-ლი გვ.).
- სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების შესახებ. ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენებიდან ა-კ. საბჭოთა მე-7 ყრილობაზე (მე-2 გვ.).
- საგზაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ. ამხ. ნ. ილიუშინის მოხსენებიდან ა-კ. საბჭოთა მე-7 ყრილობაზე. (მე-2 გვ.)
- კამათი ა-კ. საბჭოთა მე-7 ყრილობაზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო (მე-3 გვ.).
- ივ. მიჩურინის წერილი (1-ლი გვ.).
- ამხ. ლიტვინოვი ჟენევის მოლაპარაკებათა შედეგების შესახებ (1-ლი გვ.).
- ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთ დამოკიდებულებისათვის (1-ლი გვ.)
- დარბაზობა ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად (1-ლი გვ.)

კიდევ სარემონტო კამპანიის შესახებ

საქართველოს მიწსახკომის ცნობები და ჩვენს მიერ ადგილებიდან მიღებული მასალები მოწმობენ, რომ ტრაქტორებისა და ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების რემონტში ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. მიუხედავად ხელმძღვანელ ორგანოების კატეგორიული გაფრთხილებისა, მთელმა რიგმა მ. ტ. სადგურებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა რემონტის გეგმების შესრულების სამარცხვინო მაჩვენებლებს თავი ვერ დააღწიეს.

15 იანვრისათვის მანქანა-ტრაქტორების სადგურებს შეკეთებული ჰქონდათ 475 ტრაქტორი, რაც შეადგენს ნოემბერ-იანვრის გეგმის 79,2 პროცენტს, ხოლო წლიური გეგმის—74,5 პროც. უფრო ცუდად მიმდინარეობს რემონტი სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში, რომელთაც გეგმა შესრულებული აქვთ 62,2 პროც. ცხადია მუშაობის ასეთი ტემპები ვერ უზრუნველყოფს რემონტის მაღალხარისხოვნად დამთავრებას დაწესებულ ვადაზე.

ფაქტია, რომ იქ, სადაც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება ამ დიდ სამეურნეო პოლიტიკური საქმისადმი—გეგმები არადამაკმაყოფილებლად სრულდება, ზოგან კი აშკარად საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს. მაგ. ტფილისის მ. ტ. სადგურს შეკეთებული აქვს 4 ტრაქტორი (გეგმის 22,2 პროც.), ლიუქსემბურგის მტს-მა პირველ თებერვლამდე უნდა შეაკეთოს 15 ტრაქტორი, ფაქტიურად ეს დავალება მას სანახევროდაც კი არ აქვს შესრულებული. ცუდი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე გორის, საგარეჯოს და ბორჩალოს მ.ტ. სადგურებს, აქ ნოემბერ-იანვრის გეგმის შესრულება არ აღემატება 70 პროცენტს.

რემონტისადმი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ დუშეთის რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციებიც. ამ რაიონის სახელოსნოს 10 ტრაქტორიდან შეკეთებული აქვს მხოლოდ 2.

მ.ტ. სადგურების და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში შრომის ორგანიზაცია ცუდად დაყენებია. კადრების არასწორად შერჩევა, უგეგმობა, შრომის დისციპლინის დაცემა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობა პლიუს მიწგანების და დირექციების ზერელე ხელმძღვანელობა—აი ჩამორჩენის მიზეზები (საგარეჯო, კასპი, მცხეთა, სენაკი). ზოგან კი რემონტი ფერხდება სათადარიგო ნაწილების დაგვიანებით გამოსყიდვის გამო (გორი).

დანაშაულებრივად ჭიანურდება ტრაქტორების მისაბმელი ინვენტარის რემონტიც. მაგ. სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებს 15 იანვრისათვის 135 გუთნიდან შეკეთებული ჰქონდათ მხოლოდ 19 გუთანი. უფრო მეტი, აღნიშნულ რიცხვისათვის საქაგრეუმტრესტს გუთნების რემონტი დაწყებულიც კი არ ჰქონდა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სათესებისა და ავტომანქანების რემონტი. მაგ. სამტრესტს ავტომანქანების შეკეთების გეგმა მხოლოდ 35 პროცენტით აქვს შესრულებული. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც მ.ტ. სადგურებშია.

ასე მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ბოლო უნდა მოეღოს ადგილების მიმართ კანცელარულ-ბიუროკრატიულ ხელმძღვანელობას. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობის ცენტრში უნდა მოაქციონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება.

საქ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს „**დაუყოვნებლივ გააჩაღონ მუშაობა კოლმეურნეობების საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად, რათა 1935 სასოფლო-სამეურნეო წელი გადაიქცეს ახალ წარმატებათა წელიწადად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საქართველოს სოფელში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში**“.

პარტიის ეს დირექტივა ურყევად უნდა განხორციელდეს. მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ, რომ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების წარმატებით ჩატარება უზრუნველყოფს თესვის დროზე დამთავრებას და მაღალ მოსავალს.

რემონტის ტემპების გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეკეთების ხარისხს. მიწგანების და მტს-ების დირექტორების ვალია ყოველდღიური კონტროლი დააწესონ შეკეთების ხარისხისათვის.

მ.ტ. სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციებმა მტკიცე წესრიგი უნდა დაამყარონ სახელოსნოებში, გადაჭრით გააძლიერონ მზრუნველობა იმ პირების მიმართ, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას, რომლებმაც რემონტში გვიჩვენეს მუშაობის სამაგალითო ნიმუშები.

ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ საგაზაფხულო თესვას შევუდგეთ ჯანსაღი მანქანა-იარაღებით.

ყველა ძალა და საშუალება ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას.

ი. ვ. მიჩურინის წერილი

საქ. ა. ლ. კ. კ-ის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სხვა სუბტროპიკული რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს

პატივცემულო ამხანაგებო!

მე, საბედნიეროდ, ძალიან ხშირად ვრწმუნდები, რომ ვ. ი. ლენინის დიადი იდეა მიწის განახლების შესახებ ხდება საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მასების პრაქტიკული საქმე.

მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ეს დიადი იდეა დაეუფლა კომკავშირის შეგნებას. ამიერ-კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების კომკავშირი, კერძოთ აჭარისტანის, აფხაზეთის, ოზურგეთის, ფოთის და აზერბეიჯანის კომკავშირი, რომელთა მამაპაპები მთელი ისტორიის მანძილზე ოქტომბრის რევოლუციამდე ჩაგვრას განიცდიდენ და არასოდეს არ ყოფილან თავისი მშვენიერი მიწის პატრონები, — დღეს პარტიის ხელმძღვანელობით გვიჩვენებს ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშებს საბჭოთა სუბტროპიკების ათვისების დარგში. ამ მუშაობის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება თქვენ მიერ მოწყობილი ასზე მეტი საკოლმეურნეო სანერგე.

მოსკოვის ოლქის, დასავლეთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, უკრაინის და დონბასის კომკავშირსაც აქვს მიღწევები ჩრდილოეთში მიწადმოქმედების დანერგვის, ახალი კულტურების შემოღების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრების, ბაღებისა და ბოსტნების მოსავლიანობის გადიდებისა და გასამკეცების საქმეში.

ამიტომ ამიერ-კავკასიის კომკავშირელებს არ შეიძლება არ ახარებდეთ თქვენი მიღწევები, მათ არ შეუძლიათ არ ისურვონ წარმატებანი.

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა, თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ბლოკვეთოთ პრაქტიკიდან უმართებულო შეხედულება სუბტროპიკებზე, რომელიც წინათ არსებობდა.

ვმუშაობ რა მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩრდილოეთში ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის დასანერგავად, არასოდეს არ ვივიწყებ სუბტროპიკებს და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს საბჭოთა სუბტროპიკებს.

დიდია ყველა ჩვენი სუბტროპიკის ფართობი და აურაცხელი შესაძლებლობებია იქ ჩამარხული. ამ შესაძლებლობათა გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, იწყება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების — წამყვანი და დამხმარე მცენარეების სელექციით.

ჩემი სურვილები შემდეგია:

1. მსოფლიოში საუკეთესო სუბტროპიკული მეურნეობის შესაქმნელად წინადადებას ვიძლევი გამოკვლეულ იქნას დედამიწის ყველა ტროპიკი და სუბტროპიკი, ყველაფერი, რაც კი საუკეთესო აღმოჩნდება ლიმონსა, ფორთოხალსა, მანდარინსა, ჩაისა, ხურმასა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებს შორის, — ყველაფერი უნდა ჩამოვიტანოთ ამიერ-კავკასიაში, მოვახდინოთ მათი სელექცია და გადავიტანოთ ისინი ჩრდილოეთში.

2. ყოველნაირად განვავითაროთ მასობრივი საცდელი საქმე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე და ფართოდ გამოვიყენოთ ყოველგვარი დადებითი შედეგი. ამასთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ მოხუცთა პრაქტიკული გამოცდილება ხშირად ძალიან ძვირფასი გამოცდილება.

გამოავლინეთ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ცდებზე მომუშავე ახალგაზრდა ძალები, მოაწყეთ მათთან მუშაობა სამეცნიერო და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების მუშაობით, აღმოუჩინეთ მათ ყოველგვარი დახმარება, უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში ამ ახალგაზრდა ძალების მიღწევები.

3. გაძლიერებით ამზადეთ საკუთარ სელექციონერთა კადრები. საქმე ის არის, რომ აქა-იქ ჩვენში შესამჩნევია სერიოზული გაუგებრობა კადრების მომზადების დარგში. ახლა მეხილეობის საქმეში მზადდება, აგრონომი — უნივერსალი აგროტექნიკური განხრით, ეს სავსებით სწორი არ არის. სრულიად არ ვამცირებ აგროტექნიკის უდიდეს მნიშვნელობას, მაგრამ ამასთან ერთად ხაზგასმით აღვნიშნავ სელექციის როლსაც, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პირობებში, სადაც სხვადასხვა ნიადაგობრივი და კლიმატიური პირობებია, სადაც სუბტროპიკული მეურნეობა ისტორიულ როლს ასრულებს.

4. ძვირფასო ამხანაგებო, შეზღუდულობა იქნება, კომკავშირმა რომ მარტო სუბტროპიკული მეურნეობის განსავითარებლად იმუშაოს, აუცილებლად საჭიროა ყოველნაირად განავითაროთ ჩვენი სუბტროპიკების მეხილეობა. ვაშლი, მსხალი, ჰურმა, ატამი, კომში, ალუბალი, ქლიავი, თუ ასორტიმენტს სწორად შევარჩევთ, თუ ძველი ბაღების და ტყეების ხარისხობრივ და სახეობრივ სიმდიდრეს გამოვიყენებთ, უახლოეს ხუთწლედში გადაიქცევიან აფხაზეთის და აჭარისტანის და სხვა რაიონების პირობებში არამარტო სასურსათო, არამედ სერიოზულ სანედლეულო და საექსპორტო ბაზად. მეცნიერული და მასობრივი პრაქტიკული სელექცია ჩვენს ხელშია და აქ კომკავშირს შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამიერ-კავკასიის კომკავშირი, კომუნისტური პარტიისა და საქ. ა. ლ. კ. კ-ის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, მთელი ენერგიით მოკიდებს ხელს დაწყებულ საქმეს—საბჭოთა ფლორიდის და კალიფორნიის შექმნას შავი და კასპიის ზღვების სანაპიროზე.

დასასრულ მე მინდა გამოვუცხადო ჩემი ღრმა მადლობა საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, მისი დელეგაციის სახით, ყურადღებისა და თავაზიანობისათვის.

ი. ვ. მიჩურინი.

ამხ. ლიტვინოვის განცხადება ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტისადმი

ჟენევა, 19 იანვარი. ჰავასის სააგენტოს წარმომადგენელმა შეეკითხა ს.ს.რ.კ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს, თუ როგორია მის მიერ ჟენევაში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები. ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ იგი ჟენევიდან წავა ნდობით აღჭურვილი ყველა იმ სახელმწიფო მოღვაწის მიმართ, რომლებთანაც იგი იხილავდა აუცილებელ ღონისძიებებს ევროპული მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. ამ ურთიერთი ნდობით, შეხედულებათა სრულ სოლიდარობასთან ერთად ამხ. ლიტვინოვის აზრით, უეჭველად გამჟღავნებულია ყველა, ვინც კი ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდა.

მე დარწმუნებული ვარ,—თქვა ამხ. ლიტვინოვმა, რომ იმ ქვეყნების თანამშრომლობა, რომლებიც დაინტერესებული არიან მკვიდრ საფუძველზე მშვიდობიანობის ორგანიზაციაში და ევროპის ყველა ხალხისათვის უშიშროების უზრუნველყოფაში, არა თუ გაგრძელდება წინათ დასახული ხაზებით, არამედ იგი ახლა კიდევ უფრო მეტი ენერგიით, შეუპოვრობით და მიზანსწრაფვით განხორციელდება. ბოლო დროის ამბებმა, სახელდობრ რომის შეთანხმებებმა და გერმანიისათვის საარის დაბრუნებამ, თუ წინათ არსებულ ვითარებაში ცვლილება შეიტანეს, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ მათ უფრო მეტი სიცხადით დაანახვეს ყველა დაინტერესებულთ. წინათ დასახული დიპლომატიური აქციების ბოლომდე მიყვანის აუცილებლობა და აქტუალობა. ეს განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთის ურთიერთი დახმარების პაქტს, რომლის მნიშვნელობა ყველა მისი ინიციატორის თვალში ახლა გაიზარდა და რომელიც აუცილებლად გახდება მომავალი დიპლომატიური მოლაპარაკების ღერძი. ამ პაქტის განხორციელების შანსები, რომლის დადება ახლა მხოლოდ გერმანიაზე არის დამოკიდებული, თვალსაჩინოდ გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ საერთო მიზნით გაერთიანებული რეგიონალური პაქტების შემწეობით ევროპაში უშიშროების სისტემის შექმნის ყველა მომხრის სოლიდარობა, ჟენევაში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად, განმტკიცდა ისე, რომ ადგილი არ ურჩება აღნიშნული სისტემის მოწინააღმდეგეთა შესაძლებელ ინტრიგებს ამ სოლიდარობის ჩასაშლელად. მე საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებული კმაყოფილება გამოვთქვა ჩემი საუბრებით ბ-ნ ლავალთან, რომლის ლოიალობასა და კეთილ სურვილებში მე ეჭვი არასოდეს არ მეპარებოდა. ამ საუბრებმა დაადასტურეს, რომ ჩვენ ვიცავთ იმ იდეებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ 5 დეკემბერს ხელმოწერილ ოქმს (ადს).

◆ ◆ ◆ ◆

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთ დამოკიდებულებისათვის

ლონდონი, 17 იანვარი. ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ განსაკუთრებული „კონტაქტის ჯგუფის“ გამოყოფის გამო გამართა საუზმე ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა და საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის. შესავალ სიტყვაში სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა მატერმა აღნიშნა, რომ „კონტაქტის ჯგუფის“ მიზანია ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას ინგლისისა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გასულ წელს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ხელსაყრელად ვითარდებოდა და რომ მეგობრული ურთიერთობა ამ ორ დიდ ქვეყანას შორის არა თუ სარგებლობას მოუტანს თვითეულ მათგანს, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობის შენარჩუნებაში. ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ ინგლისის პრესაში და ალაგ-ალაგ ინგლისში,—აღნიშნა ამხ. მაისკიმ,—ხშირად მიკერძოებითი და უმართებულოა, რაც თანაბრად საზიანოა ორივე მხარისათვის. პირადი კონტაქტი ორივე მხარის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის ინგლისის საქმიან ხალხს აძლევს შესაძლებლობას გაცილებით უფრო სწორი წარმოდგენა იქონიონ საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ინგლისში ამხ. ოზერსკი და სხვები. საუზმეს დაესწრო საქმიანი წრეების 200-მდე წარმომადგენელი, მათ შორის უდიდესი სამრეწველო ფირმების წარმომადგენლები.

საუზმის შემდეგ შესდგა ინგლის-საბჭოთა სავაჭრო პალატის სხდომა, რომელზედაც ამხ. ოზერსკიმ გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის გასულ წელს წარმოებული ვაჭრობის შედეგების შესახებ. ამხ. ოზერსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს ნაკისრი მნიშვნელოვანი ვალდებულებანი, რომლებიც ეხებიან სავაჭრო სალდოს ბალანსის თანაშეფარდებას, შესრულებულ იქნა ინგლისისათვის გაცილებით უფრო მეტი სარგებლობით, ვიდრე ეს შეთანხმებითაა გათვალისწინებული. ამხ. ოზერსკიმ მიუთითა, რომ საბჭოთა იმპორტის ოდენობა საგრძნობლად დამოკიდებული იქნება ფინანსირების პირობებზე და მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა დაკვეთების კრედიტების ღირებულება ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. საბჭოთა კავშირს,—განაცხადა ამხ. ოზერსკიმ,—არ შეუძლია და არც აქვს განზრახვა 10—11 პროცენტი იხადოს კრედიტებში. საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებმა ამოსწურეს ყველა არგუმენტი და ვერ მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი შედეგები, დაიწყეს ყიდვა ნაღდ ანგარიშზე. შესყიდვების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ წარსულში ისინი ძალიან დიდ ფასს იხდიდენ კრედიტებში. ამხ. ოზერსკიმ გამოთქვა იმედი, რომ წელს კრედიტები საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს მიეცემათ მათთვის მისაღებ პირობებში (ადს).

◆ ◆ ◆ ◆

ვატმანების გაფიცვა ლოს-ანჯელოსში

სურათზე: ლოს-ანჯელოსში (ამერიკის შეერთ. შტატები) გაფიცული ვატმანები აჩერებენ ტრამვაის.

იაპონიის სამხედრო ძალების გაგზავნა

ჩახარის პროვინციაში.

შანხაი, 19 იანვარი. შინბაოს გადმოცემით, დოლონნორში (ჩახარის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილი) მოფრინდა იაპონიის 4 ყუმბარმზიდი და ორი მზვერავი თვითმფრინავი. „ჩაინა პრესი“ იუწყება, რომ ლუანჯოუში, უბეიკოუში (დიდი კედლის გასასვლელი) და დოლონნორში გაიგზავნა იაპონიის აგრძნობი ძალები, სიმბუნ რენგოს სააგენტოს სიტყვით იაპონიის ქვეითი ჯარის ნაწილები, რომლებიც ჩენდენში იყვნენ დაბანაკებული, მიიწევენ დაგენისა და დანინისაკენ, ჟეხეს პროვინციის დასავლეთ ნაწილში. მინამის (კვანტუნის არმიის სარდალი და იაპონიის ელჩი მანჯოუგოში) მიწვევით ჩანჩუნში გაფრინდა იაპონიის სამხედრო წარმომადგენელი კალგანში (ადს).

◆ ◆ ◆ ◆

დარბაზობა ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად სან-ფრანცისკოში კლუბმა „კომონველმა“ მოაწყო დარბაზობა, რომელსაც დაესწრო საქმიანი წრეების, მეცნიერების და ადგილობრივი ხელისუფლების ექვსასზე მეტი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ამხ. ტროიანოვსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევების სწრაფი ზრდა.

შეეხო რა ანტისაბჭოთა ჭორებს „საბჭოთა კავშირში შიმშილის შესახებ“, რაც გამოაქვეყნეს ამერიკის ზოგიერთმა გაზეთებმა, ამხ. ტროიანოვსკიმ განაცხადა, რომ ახლანდელ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირში დიდი მოსავალია და გაუქმდა პურის საბარათო სისტემა ასეთი ზღაპრების გავრცელება განხილულ უნდა იქნას არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ პათოლოგიური თვალსაზრისითაც. სიტყვა გადაცემული იყო რადიოთი. იმავე დღეს სტენფორდის უნივერსიტეტის რექტორმა უილბურმა (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჰუვერის დროს) ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო ბევრი გამოჩენილი პროფესორი. საღამოს ამხ. ტროიანოვსკი მიიწვიეს „რუსეთ ამერიკის ინსტიტუტის“ მიერ გამართულ სადილზე. თავის სიტყვაში ამხ. ტროიანოვსკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა კულტურული დაახლოვება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და გააცნო დამსწრეთ საბჭოთა კავშირის წარმატებანი მეცნიერებაში, ლიტერატურაში, სპორტში და სხვ. სადილს დაესწრნენ სან-ფრანცისკოს მერი, საკონსულო კორპუსის წევრები და მეცნიერების დაახლოვებით 200 ცნობილი წარმომადგენელი (ადს).

„ელჩთა კომიტეტის“ ორგანიზაცია

ტოკიო, 19 იანვარი. საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს საგარეო საქმეთა მინისტრ ხიროტასთან მოაწყოს სათათბირო ორგანო უფლებებით „ელჩთა კომიტეტი“. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, შესდგა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ შემადგენლობის პირველი კონფერენცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „ელჩთა კომიტეტის“ არსებობას. თათბირს აგრეთვე დაესწრნენ ყველა ყოფილი ელჩები. განხილულ იქნა საგანგებო პერიოდის იაპონიის დიპლომატიის გაუმჯობესების საკითხები (ადს).

ესტონეთის შემდგომი ფაშიზაციის პროგრამა

ტალინი (რეველი), 16 იანვარი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა პიატსმა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების 1300 წარმომადგენლის კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც წამოაყენა ქვეყნის შემდგომი ფაშიზაციის ფართო პროგრამა (ადს).

პარიზელი რეფორმისტული პროფბიუროკრატები ბურჟუაზიის სამსახურში

რეფორმისტული პროფკავშირების, პარიზის საოლქო უნიონის გენერალური კომიტეტი სდუმდა, როცა მუშათა კლასის მტრებმა მოკლეს ლენინგრადის მუშების ბელადი, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი — ამხ. კიროვი. იგი ვერ პოულობდა ვერც ერთ სიტყვას მკვლელთა დასაგმობად, მიუხედავად იმისა, რომ ამ მკვლელობამ გამოიწვია პარიზის მუშების უდიდესი აღშფოთება.

მაგრამ როცა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ასრულებდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ნება-სურვილს, მსჯავრი დასდო და დახვრიტა ამხ. კიროვზე თავდასხმის ორგანიზატორები, პარიზის პროფკავშირთა გენერალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომ იგი „საჭიროდ სთვლის განაცხადოს პროტესტი იმ სისხლიანი დევნის წინააღმდეგ, რაც გამოიხატა ასზე მეტი მუშის (?) დახვრეტაში, ვინაიდან არ არის დამტკიცებული არც მათი თანამონაწილეობა მომხდარ თავდასხმაში, არც მათი კავშირი თეთრგვარდიელებთან“.

ამგვარად, პარიზის მენშევიკური პროფკავშირების გენერალური კომიტეტი დადგა არა პროლეტარიატის მხარეზე თეთრგვარდიელთა ტერორისტული არამზადების წინააღმდეგ, არამედ თეთრგვარდიელი ბანდიტების და კონტრ-რევოლუციონერების მხარეზე, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მუშათა კლასის წინააღმდეგ.

პარიზის მენშევიკური პროფკავშირების გენერალური კომიტეტი გამოვიდა არა მუშათა კლასის უფლებების დასაცავად, არამედ თეთრგვარდიელ მკვლელების და მათი თანამონაწილეების დასაცავად და განაცხადა, რომ „ყველა დაპატიმრებულს, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებიც შეიძლება დაპატიმრებულ იქნან, უნდა მიეცეს ყველა შესაძლებლობა სრული იურიდიული დაცვისათვის საჯარო სასამართლოს პროცესში“. საბჭოთა პროკურატურამ გამოაქვეყნა საბრალმდებლო დასკვნა — ამას პარიზელი პროფჩინოვნიკები უწოდებენ „არასაჯაროს“. საბჭოთა კავშირის მუშები ათასობით კრებებზე მოითხოვდნენ დაპატიმრებული ტერორისტების დახვრეტას, ეს პარიზელ პროფჩინოვნიკებს „არ ესმით“.

მათ ესმით მხოლოდ ის, რასაც უკარნახებს მსოფლიო ბურჟუაზია, რაც სასარგებლოა საბჭოთა კავშირის მტრების ინტერესებისათვის.

„ასზე მეტი მუშის დახვრეტა“ — ამბობენ ეს უსინდისოები, თეთრგვარდიელთა გადაქცევა მუშებად პარიზელ პროფჩინოვნიკებს დასჭირდათ იმისათვის, რომ დამალონ მუშათა წინაშე ის, რომ თვითონ ისინი ემსახურებიან ბურჟუაზიას.

პარიზის მენშევიკური პროფბიუროკრატების გენერალური კომიტეტი „სთხოვს შრომის საყოველთაო კონფედერაციას აცნობოს რუსეთის საელჩოს იმ უდიდესი მღელვარების ამბავი, რომელიც მოიცვა საფრანგეთის მუშათა კლასს“, — ნათქვამია შემდეგ ამ საზიზღარ რეზოლუციაში.

ასე ლაპარაკობენ კაპიტალისტების დაქირავებული ლაქიები, ბურჟუაზიის მსახურნი, პროლეტარიატის მტრები.

მაგრამ ისინი სტყუიან და ცილს სწამებენ საფრანგეთის მუშებს; ჩვენ ვიცით, რომ უდიდესი მღელვარება მოედო საფრანგეთის მუშებს, როცა მათ გაიგეს ამხ. კიროვის მოკვლის ამბავი. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ საფრანგეთის მუშები ესალმებიან იმ სიმტკიცეს და გაბედულებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა თეთრგვარდიელ მკვლელების წინააღმდეგ, ზინოვიევის ჯგუფის ნაძირალების, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ამ მტრების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ როგორ არ უნდა გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე პარიზელ პროფბიუროკრატების ეგრეთწოდებული „გენერალური კომიტეტი“?

20 იანვრის „პრავდას“ ქვემოწინავე წერილი.

მოღალატეებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს

„პრავდის“ მოწინავე 18|I

დამთავრდა სასამართლო პროცესი ზინოვიევის, ევდოკიმოვის, გერტიკის და სხვ. საქმეზე, რომელნიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული ლენინგრადში არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფმა მოამზადა და განახორციელა ამხ. ს. მ. კიროვის საზიზღარი მკვლელობა.

ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასამართლოს გამოძიების მონაცემების და თვით ბრალდებულთა აღიარების საფუძველზე საბოლოოდ გამოარკვია, რომ ეგრეთწოდებულ „ლენინგრადის ცენტრთან“ ერთდროულად, რომლის ხელმძღვანელობით არალეგალურმა კონტრრევოლუციურმა ჯგუფმა უშუალოდ მოამზადა და განახორციელა ამხ. კიროვის მკვლელობა, მოსკოვში, თვით იმ დღემდე, ვიდრე დაპატიმრებული იქნებოდა არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ზინოვიევის ანტისაბჭოთა ოპოზიციის მონაწილეებისაგან, არსებობდა ეგრეთწოდებული „მოსკოვის ცენტრი“, რომელშიაც შედიოდნენ ზინოვიევი, შაროვი, კუკლინი, ევდოკიმოვი, გერტიკი, ბაკაევი, კამენევი, ფედოროვი და გორშენინი; ეგრეთწოდებული „მოსკოვის ცენტრის“ ხელმძღვანელობით მოქმედებდა ლენინგრადის არალეგალური კონტრრევოლუციური ჯგუფი ეგრეთწოდებული „ლენინგრადის ცენტრის“ მეთაურობით, რომლის მონაწილეებს მსჯავრი დასდო ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1934 წლის 28-29 დეკემბერს.

„მოსკოვის ცენტრის“ მთელი საქმიანობა სავსებით მიმართული იყო ეგრეთწოდებული ტროცკისტულ-ზინოვიევური პლატფორმისათვის დამახასიათებელი კონტრრევოლუციური მიზნების განხორციელებისაკენ. „ცენტრის“ პირდაპირ და უშუალო ამოცანას წარმოადგენდა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. აი რას ამბობს „მოსკოვის ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბაკაევი:

„... ჩვენ ცენტრს არ ჰქონდა არავითარი დადებითი პროგრამა, რომელსაც იგი დაუპირისპირებდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აქ იყო მხოლოდ პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ღვარძლიანი, მტრული კრიტიკა. ეს კრიტიკა შეეფერებოდა „პოსლედნიე ნოვოსტის“ თეთრგვარდიელ ნაძირალებს. „მოსკოვის ცენტრის“ მეორე მონაწილემ ფედოროვმა აღიარა, რომ:

„... ორგანიზაციის წევრები ავრცელებდნენ ყოვლად საზიზღარ ცილისწამებას, „ხმებს“ და ჭორებს პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ“.

ძნელია ყველა დანაშაულის ჩამოთვლა, რომელიც ამ ხალხმა ჩაიდინა პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. ზინოვიევი და კამენევი არაერთხელ გამოსულან ლენინის და მისი პარტიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ რევოლუციის წინა წლებში. ვის არ ახსოვს ეს შტრეიკბრეხერები 1917 წელს? ისინი არა ერთხელ, არამედ ათჯერ და ასჯერ ცდილან ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერებისათვის ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებშიაც, როცა საბჭოთა ქვეყანა ახლად გამოსული იყო უსასტიკესი სამოქალაქო ომიდან, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში სულ უკანასკნელ დღემდე.

და ამის შემდეგ როგორ თავხედურად და საზიზღრად გაისმის ზინოვიევის ყოფილი ანტისაბჭოთა ჯგუფის არა ერთი აღიარება და მონანიების სიტყვები. რამდენჯერ აღიარეს მათ თავის შეცდომები, რამდენჯერ არწმუნებდნენ ისინი პარტიას თავის ერთგულებაში. მაგრამ ყოველივე ეს იყო გაუგონარი სიცრუე, პარტიის სიფხიზლის მოდუნების ცდა, რათა კვლავ და კვლავ დაეწყოთ ძირისგამომთხრელი კონტრრევოლუციური მუშაობა.

. . . . .

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ზინოვიევის ყოფილი ანტისაბჭოთა ოპოზიციის ხელმძღვანელებს ერთი წუთითაც არ დაუყრიათ თავისი იარაღი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. დაჰკარგა რა მასების მხარის დაჭერის ყოველგვარი იმედი, ეს ხალხი გადავიდა იატაკქვეშ. იქ ისინი ბლოკს ჰკრავდნენ სხვადასხვა ანტისაბჭოთა ჯგუფებთან. იქ ისინი იმუშავებდნენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაზე თავდასხმის ახალ მეთოდებს, იქ ისინი აგროვებდნენ და რაზმავდნენ თავის გარშემო თავის ყოფილ თანამებრძოლებს და უნერგავდნენ მათ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებისადმი გაბოროტების და აშკარა სიძულვილის გრძნობას.

იმავე ფედოროვმა გამოძიების დროს განაცხადა, რომ „... ზინოვიევის ორგანიზაციის მთელი მუშაობის მანძილზე მის რიგებში ინერგებოდა მტრობა და სიძულვილი პარტიის ხელმძღვანელებისადმი, ამასთან ორგანიზაცია უკან არ იხევდა იმის წინაშეც, რომ გამოეყენებია ცილისწამება, სიცრუე და ტყუილი და დაემახინჯებია ფაქტები, ე. ი. იყენებდა ყველა საზიზღარ საშუალებას, ნასესხებს ფაშიზმის არსენალიდან...“ ამასვე ამბობს ზინოვიევის ჯგუფის მეორე მონაწილე საფაროვი: „... ჩვენ უზომოდ ვიხარშებოდით საკუთარ წვენში. უფრო და უფრო ვაძლიერებდით საკუთარ გახრწნას და მითრევდით ჭაობში ყველას ვისაც, ისევე, როგორც ჩვენ, წარსულის ყოველგვარ სისაძაგლეზე პროლეტარულ შეტევის უდიდესი ძალა ერეკებოდა და შინაური ემიგრაციის ბარებუნის კონტრრევოლუციურ კუთხეში“... ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ფრაქციული ბრძოლის ლოგიკას აუცილებლად მიჰყავს ყოველი ოპოზიცია პირდაპირ დაუფარავ კონტრრევოლუციამდე. „ამჟამად, — ამბობდა ლენინი 1918 წელს,—ბრძოლის ასპარეზზე არის მხოლოდ ორი კლასი: წარმოებს კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, და იმათ შორის, ვინც იცავს მემამულეების და კაპიტალისტების ინტერესებს“.

იმავე 1918 წელს, განმარტავდა რა თავის თვალსაზრისს მემარცხენე ესერების აჯანყებაზე, ლენინი მიუთითებდა: „და თუ ვინმე სიხარულით ხვდებოდა მემარცხენე ესერების გამოსვლას და ბოროტი სიხარულით იფშვნეტდა ხელებს, ესენი იყვნენ მხოლოდ თეთრგვარდიელები და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მსახურნი, ხოლო მუშები და გლეხთა მასები კიდევ უფრო ძლიერ, კიდევ უფრო ახლოდ დაუნათესავდნენ ამ დღეებში კომუნისტების — ბოლშევიკების პარტიას, ხალხის მასების ნება-სურვილის ჭეშმარიტ გამომხატველს“.

ლენინის ეს სიტყვები სავსებით უფარდდება ზინოვიევის ყოფილი ანტისაბჭოთა ჯგუფის ხელმძღვანელებსაც. ისინი ამჟამად ცამდე აჰყავთ თეთრგვარდიელ ნაძირალებს და გონებადაკარგულ ფაშისტებს, მაგრამ მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველა მშრომელი.

როცა გამოქვეყნდა საბრალმდებლო დასკვნა „მოსკოვის ცენტრის“ საქმეზე, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ერთხმად მოითხოვეს სასამართლოსაგან მოღალატეების და მუშათა კლასის საქმის გამცემლების სასტიკად დასჯა. მუშები და კოლმეურნეები აცხადებდნენ, რომ ყოვლად შეუძლებელია იმ ადამიანების შებრალება, რომელნიც ღალატობენ სამშობლოს ინტერესებს, რომელნიც აფერხებენ სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას.

ცნობას, რომელიც დღეს ქვეყნდება ს. ს. რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენის შესახებ „მოსკოვის ცენტრის“ საქმეზე, ისევე როგორც ს. ს. რ. კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული საგანგებო თათბირის დადგენილებას ზინოვიევის კონტრრევოლუციური ჯგუფის მონაწილეთა შესახებ, ჩვენი ქვეყნის ხალხი სრული კმაყოფილებით შეხვდება.

მუშათა კლასის მტრებმა, სოციალისტურ სამშობლოს მოღალატეებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს.

ზინოვიეველთა საზიზღარმა მუშაობამ ვერ შეაფერხა ჩვენი წინსვლა. ჩვენი პარტია ძლიერია და მტკიცე ისე, როგორც არასოდეს. მისი ავტორიტეტი ურყევია მასებში, მუშები, კოლმეურნეები და ყველა [illegible] დარაზმულნი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, კვლავ და კვლავ ცხადყოფენ თავის სიყვარულს და ერთგულებას სოციალისტურ გამარჯვებათა ბელადისა და ორგანიზატორის — ამხანაგ სტალინისადმი.

საარის ოლქის ანტიფაშისტებთან სოლიდარობის მიტინგი

პარიზი, 19 იანვარი. საარის ოლქის ანტიფაშისტებთან სოლიდარობის მიტინგს, რომელიც მოიწვიეს ანტიფაშისტურმა ორგანიზაციებმა, დაესწრო 15 ათასი კაცი. „ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის“ თავმჯდომარემ ლიგის, 180 ათასი წევრის სახელით განაცხადა, რომ ლიგა მზად არის ითანამშრომლოს ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან. სენის დეპარტამენტის რეფორმისტულ პროფკავშირების გაერთიანების მდივანმა გირომ განაცხადა:

„ვიდრე რომ განმეორდეს ფაშისტების 1934 წლის 6 თებერვლის ცდის მსგავსი საქციელი, მას უნდა უპასუხოთ მუშაობის შეწყვეტით“. შემდეგ გირომ განაცხადა:

„რეფორმისტული პროფკავშირების წევრებს შორის ჩვენ ვაწყობთ რეფერენდუმს მოქმედების ერთიანობის ანტიფაშისტურ კომიტეტთან შეერთების საკითხზე. რეფერენდუმის შედეგებში ეჭვი არავის ეპარება“.

ამხ. კაშენი, რომელსაც ოვაციით შეხვდნენ, მიესალმა გიროს განცხადებას. შემდეგ გამოვიდა სოციალისტების ბელადი ბლიუმი, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობიან ხასიათს. დანარჩენი ორატორები მოითხოვდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას ანტიფაშისტების დასაცავად საარში, საარის ემიგრანტებისათვის თავშესაფრის უფლების მიცემას საფრანგეთში, აგრეთვე ფაშისტური ორგანიზაციების დაშლას. (ადს).

◆ ◆ ◆

იაპონია-ჩინეთის ომი ჩახარის პროვინციაში

ტოკიო, 19 იანვარი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, კვანტუნის არმიის (იაპონიის საოკუპაციო არმია მანჯურიაში) შტაბმა 18 იანვარს განაცხადა, რომ სამხედრო მოქმედება დაიწყეს ჩინეთის იმ ჯარებმა, რომლებსაც მეთაურობს ჩახარის პროვინციის გუბერნატორი სუნ ჩე-იუანი. განცხადებაში ნათქვამია, რომ სუნ ჩე-იუანის ჯარმა თითქმის დაიკავა „მრავალი სტრატეგიული პუნქტი“ ტინჩუანის რაიონში (ჟეხეს პროვინციის დასავლეთ ნაწილში) (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების შესახებ

ა.-კ. მიწათმოქმედების სახ. კომისრის ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენებიდან ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობაზე

ამხანაგებო! სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ყრილობის დღისწესრიგში მეორე საკითხად დგას სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების და გაუმჯობესების საკითხი. თქვენ ყველამ იცით, თუ როგორ გაამახვილა ყურადღება ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. სტალინმა პარტიის მე-17 ყრილობაზე მეცხოველეობის მძიმე მდგომარეობის მიმართ.

ამხ. სტალინმა აღნიშნა:

„ამის შემდეგ, იმის იმედი, რომ სამიწადმოქმედო ორგანოები შესძლებენ გამოიყვანონ გზაზე და სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მეცხოველეობა — ნიშნავს ვაშენოთ სილაზე. მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულებმა და უპარტიოებმა, ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის პრობლემა, ახლა წარმოადგენს ისეთსავე პირველ ხარისხოვან პრობლემას, როგორიც გუშინ იყო უკვე წარმატებითი გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა“.

ცხადია, ჩვენი ბელადის მითითება მთლიანად ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებსაც, სადაც სოციალისტური მეცხოველეობის ალმავლობის პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს სოფლის და მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

ამხანაგებო! მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო ამიერ-კავკასიის მეცხოველეობის მდგომარეობა რევოლუციამდე, მუსავატელების, მენშევიკების და დაშნაკების ბატონობის პერიოდში. მოკლედ ვიტყვი, რომ ჩვენში ამიერ-კავკასიაში, რევოლუციამდე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის კულტურულად გაძღოლის და განვითარების შესახებ ღარიბ-საშუალო მშრომელ გლეხთა მეურნეობებში, რამდენადაც ისინი წარმოადგენდნენ ცარიზმის ჩაგვრის, ბეგების, თავადაზნაურების და კულაკების მხრით სასტიკი ექსპლოატაციის საგანს.

ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების დროს ამიერ-კავკასიაში არამც თუ არ ყოფილა არავითარი ცდა მეცხოველეობის განვითარების საქმეში, არამედ, პირიქით, მეცხოველეობის მდგომარეობა სულ უფრო-და უფრო უარესდებოდა. დაშნაკები და მუსავატელები გართული იყვნენ მშრომელთა ხოცვა-ჟლეტით, მენშევიკები ცეცხლითა და მახვილით აქრობდენ გლეხთა აჯანყებებს, აღებული ჰქონდათ რა გეზი სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარებისაკენ.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო მუშაობა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მეცხოველეობის აღდგენის და ალმავლობის საკითხებზედაც. 1929 წელს ამიერ-კავკასიაში არამც თუ აღდგენილ იქნა მეცხოველეობა ომის დროინდელ დონემდე, არამედ ამ წლის ციფრებმა გადააჭარბეს კიდეც 1916 წლის ციფრებს. 1929 წლის შემდეგ, რეორგანიზაციის პერიოდში ჩვენში მოხდა პირუტყვის სულადობის საგრძნობი შემცირება. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, ამხ. სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე შემდეგნაირად ახასიათებს რეორგანიზაციის პერიოდს:

„ყველაზე უფრო მტკივნეულად გადაიტანა რეორგანიზაციის პერიოდი სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგმა“... „საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს არა ალმავლობა, არამედ დაქვეითება, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით. ცხადია, ერთის მხრით, სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგების ძალზე დანაგვიანებამ მსხვილ კულაკური ელემენტებით და მეორეს მხრით — კულაკურმა აგიტაციამ პირუტყვის დაკვლის სასარგებლოდ, რასაც ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა რეორგანიზაციის წლებში, თავისი გამოხატულება ჰპოვეს ამ შემცირებაში“.

ეს დახასიათება მთლიანად ეხება ამიერ-კავკასიას.

ამხანაგებო, ჩვენ ვიცით, რომ თუ უკანასკნელ წლების მანძილზე ამიერ-კავკასიაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სოფლის მეურნეობის დარგშიც, ჩვენ მივაღწიეთ წარმატებებს, რომელთა შესახებ წინათ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ეს მიღწევები წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის გარშემო ჩვენი შემჭიდროების შედეგს.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომლის სათავეში დგას ამხ. სტალინის ერთერთი ახლობელი და საუკეთესო მოწაფე ამხ. ლავრენტი ბერია, ხელი მოჰკიდა ამხ. სტალინის მიერ მეცხოველეობის განვითარების შესახებ მოცემული მითითებების შესრულებასაც. ამხ. სტალინმა პარტიის მე-17 ყრილობაზე პირდაპირ აღნიშნა, რომ 1934 წელს შეუძლია გახდეს და კიდეც უნდა გახდეს გარდატეხის წლიწადად მეცხოველეობის ალმავლობის საქმეში.

რა გავაკეთეთ ჩვენ 1934 წელს იმისათვის, რომ შეგვესრულებია ჩვენი დიდი ბელადის ეს მითითება?

სანამ ვილაპარაკებდე იმაზე, თუ როგორ შევასრულეთ ეს გადაწყვეტილება, მე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამიერ-კავკასია წარმოადგენს არა მარტო ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების რაიონს, არამედ პროდუქტიული მეცხოველეობის — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, სარძეო მეურნეობის, სამრეწველო მეცხვარეობის და მეღორეობის რაიონსაც.

შემთხვევითი არ არის, რომ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებებში ძველი ხელმძღვანელობის მიერ ამიერ-კავკასიაში გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეცხოველეობის განვითარებას.

პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით, შეუდგა ჩვენს წინაშე მეცხოველეობის განვითარების და გაუმჯობესების დარგში დასახული ამოცანების განხორციელებას.

1916 წელს ამიერ-კავკასიაში იყო 3.577 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 1929 წელს—3.994 ათასი, ე. ი. ზრდა შეადგენდა 12 პროცენტს, ხოლო 1933 წელს შემცირდა 3.142 ათასამდე,—20 პროცენტით.

1916 წელს ამიერ-კავკასიაში იყო 5.842 ათასი ცხვარი და თხა, 1929 წელს—6.645,4 ათასი, ხოლო 1933 წელს—3.755 ათასი, ანუ სულადობა შემცირდა 42 პროცენტით. 1916 წელს იყო 477 ათასი ღორი, 1929 წელს—536 ათასი, ხოლო 1933 წელს—375 ათასი,—შემცირდა 41 პროცენტით.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ დიდი ბელადის მითითებანი პირუტყვის სულადობის შემცირების შესახებ მთლიანად ეხება ამიერ-კავკასიასაც. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მაისის პლენუმზე, რომელზედაც იდგა ამიერ-კავკასიაში მეცხოველეობის ალმავლობის საკითხი, ამხ. ლავრენტი ბერიამ ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების ყველა ორგანიზაციის ყურადღება მიაქცია მეცხოველეობის მდგომარეობაზე ჩვენში და აღნიშნა, რომ ჩვენ გვაქვს ყველა პირობა მეცხოველეობის განსავითარებლად, მოგვეპოვება უფრო მეტი შესაძლებლობანი, ვიდრე შეიძლება იყოს რომელიმე სხვა მხარეში.

ამხანაგებო, ზოგიერთი აჩქარებული კაცი ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის პირობებში მეცხოველეობა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მთისა და მთის მახლობელ რაიონებში, ხოლო ტექნიკური და სუბტროპიკულ კულტურათა რაიონებში, თითქოს, არ შეიძლება განვითარდეს.

ეს არ არის მართალი.

ავიღოთ ჩვენი ტექნიკური კულტურების რაიონები — ჩაის, ბამბის, თამბაქოს და სხვ. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება ამ რაიონებში, ბრძოლა შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის, ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გადიდება, მათი შემდგომი გაფართოება, სოფლის მეურნეობის დარგების კომპლექსური ორგანიზაცია დაჟინებით მოითხოვენ მეცხოველეობის განვითარებას, ამ რაიონების წამყვან კულტურებთან მთლიანად დაკავშირების და შეთავსების გზით უნდა გავითვალისწინოთ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა — ხვალინდელ კოლმეურნეთა მზარდი მოთხოვნილებანი, ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ტექნიკურ კულტურათა რაიონების კოლმეურნეობათა მოთხოვნილებანი მუშა პირუტყვის მხრივ. და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მრეწველობის მზარდი საჭიროებანი მეცხოველეობის ნედლეულზე და მოხმარების პროდუქტებზე მუშებისა და მშრომელებისათვის მოითხოვენ მეცხოველეობის ალმავლობას მთლიანად.

ამგვარად, ჩვენ უნდა განვავითაროთ მეცხოველეობა ტექნიკურ კულტურათა რაიონებშიც.

რა გვაქვს ჩვენ ამიერ-კავკასიაში? ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია ეწეოდა ბრძოლას, რათა განეხორციელებია დიდი ბელადის ამხ. სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ 1934 წელი შეიძლება და უნდა გახდეს გარდატეხის წლიწადად მეცხოველეობის ალმავლობის დარგში. და ეს წელი, ამხანაგებო, მართლაც გარდატეხის წლიწადი იყო. უწინარეს ყოვლისა, 1934 წელს ჩვენში შეწყდა სულადობის შემცირების პროცესი და ზრდაც კი გვაქვს, ცხენების სულადობის გამოკლებით, საკოლმეურნეო ფერმები პოლიტიკურად და მეურნეობის მხრივ განმტკიცდნენ, ახალგაზრდა პირუტყვს უკეთ ინახავენ, შესრულებულია თივის ალების გეგმა, კოლმეურნეობებზე უკვე ამაგრებენ საძოვრებს, უკეთ მოემზადნენ გამოზამთრებისათვის, ხელი მოჰკიდეს ჯიშის გაუმჯობესების საქმეს, დაამთავრეს პირუტყვის ინვენტარიზაცია და ჯიშიანი პირუტყვის გამოვლინება.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდა შეადგენს 8,1 პროცენტს, ცხვრების და თხების—7,2 პროც., ღორების—71,7 პროც.,

აქ ვხედავთ მეტნაკლებობას ცალკე რესპუბლიკებსა და რაიონებში.

საქართველოში არის მთელი რიგი რაიონები (ამბროლაურის, ცაგერის), სადაც 1934 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საშუალოდ გაიზარდა 7-დან 10 პროცენტამდე, ცხვრების რაოდენობა მანგლის, ალბულაღის რაიონში—17,8 პროცენტით, ღორების რაოდენობა ჩხოროწყუს რაიონში — 85 პროცენტით.

სომხეთში, ლენინაკანის რაიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 10,4 პროცენტით, დილიჯანის რაიონში ცხვრების რაოდენობა—8,1 პროც., მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 7,6 პროც.

აზერბეიჯანში—ცხვრების რაოდენობა ყაზახის რაიონში გაიზარდა 26,8 პროც., მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შემახის რაიონში — 14,3 პროცენტით.

ამიერ-კავკასიის ცალკეული რაიონების და კოლმეურნეობების მიხედვით ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამავე დროს, 1934 წელს სამივე რესპუბლიკაში ჩვენ გვაქვს რაიონები, რომლებიც პირუტყვის შენარჩუნების მხრივ დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, სადაც რაიონული ორგანიზაციების უხეირო მუშაობის შედეგად, სულადობა შემცირდა.

საქართველოს 8 რაიონში — წალკის, ახალქალაქის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ჩხოროწყუს რაიონებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 4-დან დაწყებული 22 პროცენტამდე.

აზერბეიჯანში, ქელბაჯარის, მოსილის, სამუხის, ჯებრაილის, გეოქჩაის რაიონებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 3-დან 11 პროცენტამდე, ცხვრებისა—10-დან 28 პროცენტამდე.

სომხეთში, არტიკის, აგბაბის, აპარანის, მარტუნის, ნორბაიაზეთის, ყამარლუს რაიონებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 2-დან 12 პროცენტამდე, ხოლო ცხვრების—4-დან 22 პროცენტამდე.

ამხანაგებო, ეს უნდა აღვნიშნოთ, მიუხედავად ჩვენი წარმატებებისა, და მივიღოთ ყველა ზომა სულადობის შემცირების შესაწყვეტად და შემდგომი ალმავლობის უზრუნველსაყოფად ამ ჩამორჩენილ რაიონებშიც.

გადავდივარ ჩვენი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობაზე.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობანი მოეწყო, უმთავრესად, 1930 და 1931 წლებში. ამ წლების განმავლობაში მავნებლობა ცოტა როლს როდი თამაშობდა იმ მხრივ, რომ ცალკეული საბჭოთა მეურნეობანი შექმნილიყო იქ, სადაც მათი მუშაობისათვის არავითარი პირობა არ მოიპოვებოდა. მაგალითად, შემახის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საბჭოთა მეურნეობა აზერბეიჯანში, ან მეღორეობის ყოფილი ტრესტების მეღორეობის მთელი საბჭოთა მეურნეობანი დასავლეთ საქართველოში, სადაც საბჭოთა მეურნეობანი არ იყვნენ უზრუნველყოფილი სასმელი წყლით, საკუთარი საკვებით და სხვ.

ყოველივე ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობებში ძალზე შემცირდა სულადობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა პირუტყვის სულადობა.

1934 წელი წარმოადგენს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში ამ უმსგავსობათა ლიკვიდაციის დაწყების წლიწადს: შემოწმებულ იქნა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების შემადგენლობა და მათ შორის მოვახდინეთ იმ საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია, რომელთაც არ ჰქონდათ შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მოეწყო პოლიტგანყოფილებები და გარდაიქმნა საბჭოთა მეურნეობების მუშაობა.

ყოველივე ამის შედეგად 1934 წელს მივიღეთ ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლების საგრძნობი გაუმჯობესება. აი სათანადო ცხრილი:

ახალგაზრდა პირუტყვის კლების პროცენტი.

	1933 წ.	1934 წ.
ხბო	47,6	22,2
ბატკანი	29,5	11,2
გოჭი	20,7	16,8

ნამრავლის შენარჩუნება 100 დედა-პირუტყვზე.

ხბო	25,8 პროც.	58,6 პროც.
ბატკანი	52,8 „	82,9 „
გოჭი (100 დაყრაზე)	511 „	588 „

ძროხის წლიური წველადობის ზრდა ნახირში 9 თვის განმავლობაში 1934 წლის 1933 წელთან შედარებით შეადგენს აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკაში — 89,7 პროც., სომხეთის ს.ს. რესპუბლიკაში — 27,4 პროც. და საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში—30,8 პროცენტს.

ამავე დროს, საბჭოთა მეურნეობებმა პირველად შეასრულეს სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

უნდა მივიღოთ ყველა ღონისძიება ჩვენი საბჭოთა მეურნეობების ფინანსიური და სამეურნეო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უნდა უზრუნველვყოთ ჯოგის აღდგენა, საბჭოთა მეურნეობების გადაქცევა სანიმუშო სოციალისტურ საწარმოებად, ჯიშიანი პირუტყვის მოსაშენებელ პუნქტებად, რომელნიც საუკეთესო მასალას მოგვცემენ საკოლმეურნეო ფერმებისათვის. ეს უნდა გადაიქცეს ჩვენი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ძირითად ამოცანად 1935 წელს.

გადავდივარ საკოლმეურნეო ფერმებზე. სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების გზა — ეს არის საკოლმეურნეო ფერმები, რაც ხაზგასმით აღნიშნა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. „არსებული სახაქონლო ფერმების ორგანიზაციულ — სამეურნეო განმტკიცება და თვითეულ კოლმეურნეობასთან ფერმის შექმნა უნდა გადაიქცეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანად“.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ ჩვენში მოეწყო 1400 ახალი საკოლმეურნეო ფერმა.

თუ 1932 წლის 1 იანვრისათვის ჩვენ გვქონდა 1253 ფერმა, 1934 წლის 1 იანვრისათვის ფერმების რიცხვი ჩვენში უკვე 2027-მდე გაიზარდა. ამჟამად მეცხოველეობის ყველა სახის პირუტყვის საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობა 3400-მდე აღწევს.

რანაირია ახალგაზრდა პირუტყვის მოვლა ამ ფერმებში? თუ 1933 წელს დაიღუპა ახალგაზრდა პირუტყვის 16,5 პროცენტი, 1934 წელს ეს პროცენტი 7,7-მდე, ე. ი. ერთი ორად შემცირდა. ბატკნების სულადობის შემცირება 1933 წელს შეადგენდა 10,8 პროცენტს, 1934 წელს—5,5 პროცენტს; გოჭების სულადობის შემცირება შესაფერისად—27 და 18 პროცენტი. ჩვენ უკვე გვაქვს ისეთი ფერმები, როგორიცაა ციხისჯვარის ფერმა ბორჯომის რაიონში, ვართანლინის, გამზაგიმანის — კიროვაკანის რაიონში, ქედაბეკის—ნარიმანოვის რაიონში და სხვა, რომელთაც სულადობის შემცირების არცერთი პროცენტი არ აქვთ. ამასთან ერთად დაიწყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტულობის ზრდა.

1935 წელს საკოლმეურნეო სახაქონლო ფერმები გეგმის თანახმად კოლმეურნეებს გადასცემენ 3000 ხბოს, 15.000 ბატკანს, 10.800 გოჭს. საკოლმეურნეო-სახაქონლო ფერმები არამარტო მტკიცედ ხდიან თავის მდგომარეობას, არამარტო მაგრდებიან ორგანიზაციულ - მეურნეობრივად და პოლიტიკურად, არამედ, ამით აუმჯობესებენ კოლმეურნის მდგომარეობასაც.

უნდა ითქვას, რომ თუ მემინდვრეობაში ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს შრომის ორგანიზაციის მხრივ, მეცხოველეობის დარგში ამის საკმაო გამოცდილება არ მოგვეპოვება. ამიტომ 1935 წელი უნდა გადაიქცეს გარდატეხის წლიწადად შრომის ორგანიზაციის საქმეში, რათა გამოცდილება, რომელიც მოგვეპოვება მემინდვრეობაში, გადატანილ იქნას მეცხოველეობის დარგში.

სოფლის მეურნეობის ალმავლობის ინტერესები მოითხოვენ მემინდვრეობის სრულ დაკავშირებას და შეხამებას მეცხოველეობასთან. ამ მომენტს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების სამეურნეო განმტკიცებისათვის, საჭიროა მიექცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება. კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებით მემინდვრეობაში უნდა გავრცელდეს პირუტყვის საკვები კულტურები: მებამბეობის რაიონებში—იონჯა, მთიან რაიონებში—მერქიჯა, უჩრებილა, ოსპი, და სხვ. ეს ერთერთი ძირითადი პირობაა საკვების მტკიცე ბაზის შესაქმნელად კოლმეურნეობებში. ჩვენ ვიცით მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები (დანია, ჰოლანდია, და სხვ.), სადაც მემინდვრეობა არ არის დაკავშირებული მეცხოველეობასთან და უკანასკნელი დამოკიდებულია სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ საკვებზე.

ამხანაგებო! საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩვენი დიდი ბელადის ამხ. სტალინის მიერ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე მოცემული მითითების შესრულებას იმის შესახებ, რომ თვითეულ კოლმეურნეს უნდა ჰყავდეს ძროხა. არსებული ცნობების მიხედვით, 1933 წელს ამიერ-კავკასიაში 120 ათასამდე მეურნეობას არ ჰყავდა ძროხა, ამის გამო 1934 წელს გათვალისწინებული იყო 30 ათასი ხბოს შესყიდვა კოლმეურნეთათვის 1935 წელს—50 ათასი ხბოს შესყიდვა, დანარჩენი 40 ათასი კოლმეურნე თითონ შეიძენენ ძროხებს, როგორც მაგალითად: საქართველოში 1934 წელს თვით კოლმეურნეებმა შეიძინეს საკუთარი სახსრებით 10.200 ძროხა. ყველა ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ 1935 წელს სავსებით მოვსპოთ კოლმეურნეთა უძროხობა ამ.-კავკასიაში. ამასთან ერთად დასმულია საკითხი მეფრინველეობის მცურავი ფრინველის და მეფუტკრეობის განვითარების შესახებ. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ამ დარგებს მისდევდენ როგორც საჭირო, მეურნეობის განმტკიცებისათვის დამხმარე დარგებს.

რამდენიმე სიტყვა ერთპიროვნულ მეურნეთა შესახებ. თუ კოლმეურნეობებს ჰყავთ 15,4 პროცენტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და კოლმეურნეებს, — 26,6 პროცენტი, ერთპიროვნულ მეურნეებთან ეს პროცენტი აღწევს 55,6-ს. კოლმეურნეობებში თავმოყრილია ცხვრების სულადობის 16,8 პროცენტი, კოლმეურნეებთან — 16,7 პროც., ერთპიროვნულ მეურნეებთან — 58,9 პროც., ღორების სულადობა კოლმეურნეობებში თავმოყრილია 10,3 პროცენტი, კოლმეურნეებთან—31 პროცენტი, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეებთან —45,8 პროც., აქედან უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ ჩვენ უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობას ერთპიროვნულ მეურნეებთან, როგორც ხვალინდელ კოლმეურნეებთან, მათ შორის უნდა ვაწარმოოთ მასობრივი პოლიტიკური ახსნა-განმარტებითი მუშაობა მათ ჩასაბმელად კოლმეურნეობებში, პირუტყვის შენარჩუნებლად და გასამრავლებლად.

ამხანაგებო! მთავარ ამოცანას მეცხოველეობის განვითარების დარგში 1935 წელს წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლის გაჩაღება ყველა უბანზე პირუტყვის სულადობის და მეცხოველეობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა ალმავლობის სწრაფი ზრდისათვის. 1935 წელს პირველად ვიძლევით მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას. ჩვენი ამოცანაა — მივაღწიოთ 1935 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობის ზრდას ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში—მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — სულ მცირე 14 პროც.-ით, კამეჩებისა—13 პროცენტით, ცხენებისა—13 პროცენტით, ცხვრებისა—19 პროცენტით და ღორების—32 პროცენტით.

გადავდივარ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მეცხოველეობის განვითარების და გაღრმავების ზოგიერთ ძირითად საკითხზე.

რამდენიმე სიტყვა მეჯიშეობის საქმეზე. მეჯიშეობის საქმეს ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ წლებში ვაქცევთ ყურადღებას, მაშინ რაც იგი პირუტყვის, ცხვრების და საერთოდ მეცხოველეობის პროდუქტულობის ალმავლობაში დიდ როლს ასრულებს. მაგალითად, თუ გერმანიაში ღებულობენ 2.000 კილოგრამ რძეს ძროხაზე, ხოლო დანიაში—2.920 კილოგრამს, ეს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ყურადღებას აქცევენ მეჯიშეობის საქმეს, პირუტყვს უკეთ კვებავ და კარგად მოვლის. ჩვენ ამიერ-კავკასიაში ვღებულობთ 540-დან 700 კილოგრამამდე, ნაცვლად 600—1300 კილოგრამისა, რასაც საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში ღებულობენ.

ამგვარად, მეჯიშეობის საქმეს ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ. 1935 წელი უნდა გახდეს მეჯიშეობის საქმის შემდგომი განმტკიცების და ალმავლობის წლიწადი.

რამდენიმე შენიშვნა ა.-კ. ს.ფ.ს.რ-ის მეცხენეობაზე. 1934 წელს ცხენების სულადობა 1933 წელთან შედარებით შემცირდა 3,8 პროცენტით. ეს ჩვენთვის სამარცხვინო ლაქაა, რომელიც 1935 წელს უნდა მოვიცილოთ და შემდეგში არ დავუშვათ ცხენების სულადობის შემცირება.

1935 წლისათვის ცხენების სულადობა უნდა გადიდდეს 12 პროცენტით.

რამდენიმე სიტყვა მუშა-პირუტყვზე. რეორგანიზაციის წლების განმავლობაში მუშა პირუტყვის სულადობა შემცირდა 28,3 პროცენტით. თქვენ იცით, რომ მუშა-პირუტყვი ავსებს ტრაქტორების მუშაობას. ამიტომ ჩვენ უნდა დავსვათ მუშა-პირუტყვის ტრაქტორთან შეთავსების საკითხი. მუშა-პირუტყვი ჩვენ გვესაჭიროება ტექნიკური კულტურების კულტივაციისათვის, ნიადაგის დასამუშავებლად, კოლმეურნეობის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მთიანი რაიონებისათვის და სხ. ამიტომ მუშა-პირუტყვს ჩვენ უნდა მოვეპყრათ როგორც ტრაქტორის დამატებითს და აუცილებელ გამწევ ძალას.

პარტიის სამხარეო კომიტეტმა მტკიცედ დასვა საკითხი ცოცხალი გამწევი ძალის გაძლიერების შესახებ კოლმეურნეობებში და საამისოდ მოზვრების კონტრაქტაციის საკითხი კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან. 1935 წელს ამ მიზნით ჩვენ ვატარებთ 42 ათასი მოზვერის კონტრაქტაციას.

ამიერ-კავკასიაში არის დაახლოვებით 500 ათასი კამეჩი. კამეჩები განსაკუთრებით იტანენ ავადმყოფობას, მათ შეუძლიათ მუშაობა მძიმე პირობებში. აზერბეიჯანში არის დაახლოვებით 276 ათასი კამეჩი, საქართველოში 156 ათასამდე და სომხეთში დაახლოვებით 40 ათასი. მეკამეჩეობის განვითარებას ჩვენ სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. ამისათვის კოლმეურნეობებში ეწყობა მეკამეჩეობის ფერმები, აზერბეიჯანის ს.ს.რ.-ში შეიქმნება სადგური და იწარმოებს სამეცნიერო-საცდელი მუშაობა ფურ-კამეჩის ძვირფასი თვისებათა გამოსავლინებლად.

კულტურული მეცხოველეობა მოითხოვს საკვები ბაზის შექმნას და გაუმჯობესებას. ამიერ-კავკასიაში გვაქვს 781 ათასი ჰექტარი საზაფხულო საძოვრები და 2.000.000 ჰექტარი საზამთრო საძოვრები. ამხ. ლავრენტი ბერიამ მაისის პლენუმზე პირდაპირ თქვა, სისულელეა იმის ლაპარაკი, რომ ჩვენ საძოვრები არ გვყოფნისო. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, სად იმყოფება ეს საძოვრები. ამხ. ლავრენტიმ ეს საკითხი სავსებით სწორად დააყენა.

ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ საძოვრების ექსპლოატაციის, საძოვართა მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. უნდა გავანოყიეროთ ფართობი ნაკელის, ნაკელის სითხის შეტანით და სხვა გზით, ვინაიდან ეს საძოვრების მოსავლიანობას ადიდებს. აუცილებლად საჭიროა გავასუფთაოთ საძოვრები ქვებისაგან, მავნე ბალახებისაგან და ა. შ.

ფრიად სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი მომთაბარეობის საკითხს. უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მომთაბარეობა მოისპოს, ვინაიდან მომთაბარეობა მეცხოველეობის უკულტურო მეთოდია. იმისათვის, რომ მომთაბარეობაზე ხელი ავიღოთ, უნდა განვამტკიცოთ საკვები ბაზა, მოვაგვაროთ წყალმომარაგების საქმე, შევქმნათ კულტურული კერები და სხ.

შემდეგ უნდა ვიფიქროთ ჯერ კიდევ მოუწვდომელ ახალი საძოვართა მასივების ათვისებაზეც.

1935 წელს ჩვენ, ამხ. ლავრენტის მითითებით, შევუდექით საძოვრების პასპორტიზაციას ამიერ-კავკასიაში და სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება ზუსტი ცნობები ჩვენი საძოვრების შესახებ. მაგრამ საძოვრების გამოყენება იძლევა მაღალ ეფექტს, თუ ამასთან ერთად პირუტყვი უზრუნველყოფილია სახოსლე და საზამთრო საკვებით. სათიბი ფართობი წლითიწლობით იზრდება: 1932 წელს იყო 637.700 ჰექტარი, 1933 წელს—675.000 ჰექტარი და 1934 წელს—715.000 ჰექტ.

ბალახის თესვას, როგორც საკვები რესურსების გადიდების წყაროს, ჩვენ კარგა ხანია ვეწევით, მაგრამ უზრუნველყოფილი არა ვართ თესლით ნათესების გასაფართოებლად. უახლოეს დროშივე ჩვენ ამოცანად უნდა დავისახოთ უზრუნველვყოთ თავი იონჯის, ამერქიჯის, უგრეხილას და სხ. თესლით. მხოლოდ ამ ბაზაზე შეგვიძლია მივაღწიოთ შემდეგში ბალახთა ფართობის განვითარებას.

1934 წელს გვქონდა 80 ათასი ჰექტარი ნათესი ბალახი, 1935 წელს მრავალწლიან ბალახებთან ერთად გვექნება 98 ათასი ჰექტარი. ამასთან ერთად, ჩვენ უნდა დავსვათ ბალახთა მოსავლის შემდგომი გადიდების, მართებული კულტურის, ბუნებრივ სათიბთა და ნათეს ბალახთა მოვლის საკითხი. ნათესი ბალახის თივაზე ზრუნვასთან ერთად, უნდა უზრუნველვყოთ პირუტყვი ნოყიერი საკვებით, ე. ი. ძირნაყოფებით და სილოსით, ნოყიერი საკვები ბევრ რძეს იძლევა და ჩვენ ამ სახის საკვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

მეცხოველეობის ალმავლობისათვის ბრძოლა მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას ვეტერინარული საქმის საკითხებისადმი ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ საკარანტინო-დაცვითი პუნქტები. ამჟამად ჩვენ გვყავს დაახლოვებით 450 ვეტ. ექიმი და ფერშალი, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მუშაობენ, რაც შეეხება რქოსანი პირუტყვის მთელ რიგ დაავადებას, უნდა აღინიშნოს, რქოსანი პირუტყვის შავი ჭირი ამიერ-კავკასიაში საბოლოოდ ამოფხვრილია. ტარდება პრაქტიკული ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი დანარჩენი ეპიზოოტიების მოსასპობადაც.

1935 წელს ზოოტექნიკოსთა წინაშე ჩვენ შემდეგ ამოცანებს ვაყენებთ. ხელი მოკიდონ ყოველდღიურ, მუდმივ ხელმძღვანელობას, მივიდნენ თვით ქვედა ფენებამდე, გაეცნონ თვითეულ ფერმას, მიაღწიონ კარგ მაჩვენებლებს ჩამორჩენილ ფერმებში, კიდევ უფრო აწიონ მეცხოველეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მიაღწიონ, რომ ყველა კოლმეურნეობა რაიონში კარგ მაჩვენებლებს იძლეოდეს. რაიონული ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ დაკისრებული საქმისათვის.

უნდა მოაწყონ და გაატარონ მასობრივი ღონისძიებანი: გამოფენები, ახალგაზრდა პირუტყვის მოშენება, კონკურსები და სხვ.

ორიოდე სიტყვა მეცნიერების შესახებ. სამეცნიერო დაწესებულებებზე ჩვენ წლიურად ვხარჯავთ 1,5—2 მილიონ მანეთს. ჩვენ გვაქვს მეცხოველეობის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტი, ორი კომპლექსური სადგური სომხეთსა და აზერბეიჯანში, ორი გაფართოებული დასაყრდენი პუნქტი და 30-მდე დასაყრდენი პუნქტი. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. უნდა ითქვას, რომ ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებს აქვთ მთელი რიგი მიღწევები, მაგრამ მაინც მეცნიერება დღემდე არ შეჭრილა კოლმეურნეობებში, და ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მოვახდინოთ ამ მიღწევების პოპულარიზაცია, გავხადოთ ისინი კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ფართო მასების კუთვნილებად.

ამხანაგებო! განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ 1935 წელს პირველად ვიძლევით მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია ახალგაზრდა პირუტყვის მოშენების გეგმას, სწორად დაყვანას სოფლის საბჭოებამდე, კოლმეურნეობებამდე, ერთპიროვნულ მეურნემდე. ამ დარგში დიდი ორგანიზაციული მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოგველის. ეჭვი არ არის, რომ კლასობრივი მტერი,— კულაკი და მისი აგენტურა,—ცდილობს ჩაშალოს სახელმწიფო გეგმის გატარება. ყველა ჩვენმა ორგანიზაციამ, ყოველმა ჩვენმა მუშაკმა გეგმისათვის ბრძოლის გარშემო დიდი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გაშალოს, მათ უნდა დარაზმონ კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ფართო მასების ყურადღება, და გადაჭრით უნდა აღკვეთონ ჩვენი მუშაობის დეზორგანიზაციის ყველა ცდა განადგურებული კლასობრივი მტრის მხრივ.

ამხანაგებო! პარტიის მე-17 ყრილობის, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. 1934 წელი გახდა გარდატეხის წლიწადი ამიერ-კავკასიაში მეცხოველეობის ალმავლობის მხრივ. ყოველივე ეს ჩვენ გავაკეთეთ ა.-კ. ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ნაცადი ბოლშევიკის და ამხ. სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით (ტაში).

ამხანაგებო! 1935 წელი უკვე იქნება ალმავლობის წელი მეცხოველეობის დარგში. და ამ ამოცანებს, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით და ა.-კ. ბოლშევიკური [illegible] ამხ. ბე[illegible] ჩვენ შე[illegible]სრულებ[illegible] (ბ) ც. [illegible] რომ ც. [illegible] დარგში, [illegible]

გაუმა[illegible] დიდ ს[illegible]

გაუმა[illegible] რესპუბლ[illegible]

გაუმა[illegible] [illegible]ლერაცი[illegible] [illegible]ზარეო [illegible]რიას!

საგზაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ნ. ილიუშინის მოხსენებიდან ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობაზე

ავტოსაგზაო ტრანსპორტის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში სწრაფი ტემპებით იზრდება. არ არსებობს მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელიც ცოტად თუ ბევრად არ იყოს დაკავშირებული ურელსო ტრანსპორტთან, ხოლო ზოგ შემთხვევაში პირდაპირ არ იყოს მასზე დამოკიდებული.

ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მხარეებზე, როგორიც არის ამიერ-კავკასია, სადაც ურელსო ტრანსპორტი გადამწყვეტ როლს თამაშობს და კიდევ დიდხანს ითამაშებს რაიონთა კავშირის დამყარების საქმეში. ამავე დროს კი ამიერ-კავკასიის საგზაო მეურნეობის მდგომარეობა მკვეთრად ჩამორჩება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის ზრდის ტემპებს.

ამიერ-კავკასიის გადაქცევა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მხარედ ცვლის მთელი რიგი რაიონების სახეს, რომლებიც მაღალხარისხოვანი კულტურების გაშენების მხრივ სოციალისტური მიწათმოქმედების კერები ხდებიან.

ბევრი, წარსულში მიყრუებული, მივიწყებული და ცენტრალური რაიონებისაგან მოწყვეტილი რაიონი, დაბა და ქალაქი გადაქცეულია კულტურულ და სამრეწველო კერებად.

ყოველივე ეს ჩვენ გვაიძულებს მოვცადოთ საგზაო მშენებლობის კიდევ უფრო გაშლას, ვიდრე ეს დღემდე იყო, და ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას—შეუდარებლად უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ არსებული გზების ექსპლოატაციის საქმე.

მით უფრო პასუხსაგები ხდება ეს ამოცანები, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში წლითი-წლობით სწრაფი ტემპებით იზრდება საავტომობილო ტრანსპორტი და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეიარაღება მექანიზმებით. აღვნიშნავთ, რომ მთელს საბჭოთა კავშირში 1927 წელს იყო 24.000 ავტომობილი. 1933 წელს —117.000. ხოლო 1937 წელს დასახულია მათი რიცხვის გადიდება 580.000-მდე. ამიერ-კავკასიაში 1928 წელს იყო 2.265 მანქანა, 1934 წელს—5.496, ხოლო 1937 წელს განზრახულია გვქონდეს 22.645-ზე მეტი მანქანა. 1934 წელს ამიერ-კავკასიაში იყო 5.048 ტრაქტორი, 1935 წელს ნავარაუდევია გვქონდეს—6.051, 1937 წელს —15.800.

საბჭოთა ხელისუფლებამ და ამიერ-კავკასიის მშრომელებმა მეფის რეჟიმისაგან მემკვიდრეობად მიიღეს ურელსო ტრანსპორტის უაღრესად ჩამორჩენილი ქსელი.

გზების გაყვანაზე სულ უმნიშვნელო თანხებს ხარჯავდნენ და სამხედრო-დაპყრობითი და სტრატეგიული გზების აგებასთან დაკავშირებული მთავარი სიძნელე ადგილობრივ მოსახლეობას აწვებოდა.

საგზაო ტექნიკა და გზათა დაგების ტიპები რევოლუციამდელ ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც საერთოდ რევოლუციამდელ რუსეთში, უაღრესად დაბალ დონეზე იყო, მაშინ როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნები დაფარული იყო გაუმჯობესებული ასფალტის და ბეტონის გზების ქსელით. გზების ტიპები და საგზაო ტექნიკა შეეფერებოდა მეფის რუსეთის განვითარების საერთო დონეს.

აზერბეიჯანის გზების სიგრძე, რომელიც 1914 წელს 1.407 კილომეტრს უდრიდა, 1919 წელს დაეცა 671 კილომეტრამდე, საქართველოში გზების სიგრძე 1917 წელს იყო 2.283 კილომეტრი, ხოლო 1921 წელს—1.536,4 კილომეტრი.

ასეთია ამიერ-კავკასიის გზების მდგომარეობის სავალალო სურათი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობად მიიღო მეფის რეჟიმისაგან, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების რეჟიმისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩატარებულია ძველი გზების დიდი რეკონსტრუქცია 6.000 კილომეტრზე და უფრო მეტ მანძილზე, აღდგენილია ნაპირების გასამაგრებელი ხელოვნური ნაგებობანი, აგებულია მრავალი ახალი ხიდი.

ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის გზების საერთო სიგრძე, საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული ადგილობრივი გზების ჩათვლით, აღემატება 3.500 კილომეტრს. გაყვანილია სურამ-ძირულის, ფშავ-ხევსურეთის, ზემო-სვანეთის, კუშჩინდი-ანგელაუტის, იჯევან-კაუხკალის, ლაჩინ-აკარის, მუკარაგინის და სხვა გზები.

პირველი ხუთწლედის და მეორე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ამიერ-კავკასიის მთელ საგზაო მშენებლობაში, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ჩაუთვლელად, დაბანდებულია 111.084,9 ათასი მანეთი, ხოლო მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ჩათვლით —167,539,7 ათასი მანეთი.

როგორც ხედავთ, ჩვენ ბევრად გავუსწარით საგზაო მეურნეობის რევოლუციამდელ დონეს, მაგრამ ეს წარმატებანი გიგანტურად გაზრდილ მეურნეობასთან შედარებით აშკარად მცირეა.

მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, ამიერ-კავკასიის საგზაო მეურნეობა ჩამორჩა მთელი სახალხო მეურნეობის გაზრდილ დონეს.

ახალი გზების მშენებლობა, ისე როგორც არსებული გზების მოვლა, ძნელდება ამიერ-კავკასიის მთიანი პირობების მთელი რიგი თავისებურებებით.

ჩვენი უბედურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ახლად აგებულ, აგრეთვე ექსპლოატაციაში მყოფ გზებს აქვთ მთელი რიგი დიდი ნაკლოვანებანი, რომელთა ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანაა. ხდება უპროექტო მშენებლობა, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა. ზოგიერთი გზის შედგენილი პროექტები ყოველთვის როდი შეეფერება ეკონომიურ ინტერესებს და მათი გადასინჯვა წარმოებს თვით მშენებლობის პროცესში. ხოლო საამშენებლო-საფინანსო გეგმებს დაგვიანებით ადგენენ და ამტკიცებენ. არ იცავენ სამუშაოთა წარმოების ტექნიკურ ნორმებს და წესებს.

ამას უნდა დაემატოს მშენებლობაში მყოფი გზების შეუსაბამობა მთელ რიგ ადგილის ტვირთზიდვის დაძაბულობასთან სამოსის ტიპის და გზის სიგანის მხრივ. არ იცავენ აგრეთვე ტექნიკურ ნორმებს და მასალების დამზადების და წინასწარ გამოუცდელად მათი გამოყენების წესებს. სუსტია სამუშაოთა პროცესის ტექნიკური ხელმძღვანელობა. კაპიტალური დაბანდებანი, მექანიზმები, საამშენებლო მასალები და კადრები, კონცენტრაციის მაგივრად, იფანტება საამშენებლო უბნების დიდ რაოდენობის შორის, ხოლო აქედან წარმოსდგება სამუშაოთა დაბალი ხარისხი და კაპიტალური დაბანდებათა მცირე ეფექტურობა. არამთლიანად და არარაციონალურად იყენებენ მექანიკურ იარაღებს და, ბოლოს, ჩვენ ვხედავთ მშენებლობის ღირებულების სრულიად შეუწყნარებელ გადიდებას.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორებლად, გზატრანსის ორგანოების მუშაობის ძირეული გარდაქმნის ჩატარებლად, ადგილობრივი ორგანოების მხრივ საგზაო მეურნეობის საქმისათვის სათანადო დახმარების და ხელმძღვანელობის გაუწევლად, შეუძლებელია შესრულდეს უახლოესი წლებისათვის დასახულ სამუშაოთა უდიდესი გეგმა.

მეორე ხუთწლედის დარჩენილი სამი წლის მანძილზე განზრახულია ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საგზაო მშენებლობაში დაბანდებულ იქნას 153 მილიონი მანეთი.

საგზაო მშენებლობის მოცულობა, რომელიც მეორე ხუთწლედში უნდა შესრულდეს, უდიდესია. ჩვენ უნდა ავაგოთ ახალი გზები და მოვახდინოთ ძველი გზების რეკონსტრუქცია და რემონტი 5.405 კილომეტრის მანძილზე, დავაბანდოთ კაპიტალურ რემონტში 7.995 ათასი მანეთი.

მშენებლობის ღირებულებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მუშა-ხელის ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები.

„იმის ფიქრი, რომ შეიძლება შორს წავიდეთ უმექანიზაციოდ ჩვენი მუშაობის ტემპების და წარმოების მასშტაბების დროს,—ამბობს ამხ. სტალინი,—ნიშნავს იმედი ვიქონიოთ, რომ ზღვა კოვზით დაილევა“.

ამხ. სტალინის ეს მითითება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგზაო სამუშაოთა მექანიზაციის დარგში.

ამიერ-კავკასიაში სულ მოიპოვება ექსპლოატაციისათვის გამოსადეგი 474 სხვადასხვა მანქანა-სატკეპნი, ქვასამტვრევები, ავტო-გუდრონატორები, ავტოგრეიდერები, [illegible], მექანიკური ხარები და სხვ. მათგან საქართველოში არის 210, სომხეთში 61 და აზერბეიჯანში—203. მაგრამ ამ მანქანებს ძალიან ცუდად იყენებენ: მათი სიმძლავრის 1,2 პროცენტიდან 55 პროცენტამდე.

მექანიკური იარაღები დანაწილებულია უმართებულოდ და დაქსაქსულია ცალკე უბნებზე, იმის მაგივრად, რომ მოხდარიყო მათი კონცენტრაცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სამუშაოებზე.

მექანიკური მოწყობილობის სრული გამოყენების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სამანქანო-საგზაო სადგურებმა, რომლებიც ცდის სახით, 1935 წელს ეწყობა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებასთან შეფარდებით.

საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-საგზაო სადგურებთან უნდა შეიქმნას სპეციალური სამანქანო-საგზაო რაზმები, პირველ ყოვლისა ტექნიკურ კულტურათა რაიონებში. ამით შეიქმნება ბაზა არსებული მანქანების სრული გამოყენებისა და ამიერ-კავკასიის გზათა მექანიკური პარკის გადიდებისათვის.

უგზოობასთან ბრძოლაში რესურსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის წლითი-წლობით მზარდი შრომითი მონაწილეობა, რომელსაც პირველ რიგში ვიყენებთ ძირეული საგზაო ქსელის მშენებლობისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე. 1933 წელს ამიერ-კავკასიაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ღირებულება საგზაო მშენებლობაში აღემატებოდა 15,5 მილიონ მანეთს, 1934 წელს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ღირებულება უდრიდა 16,6 მილიონ მანეთამდე.

დიდი დადებითი მუშაობა საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის ჩაბმის მხრივ გასწია საქართველომ, რაც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებაში. 1933 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის მეოხებით გაყვანილია 1.047 კილომეტრი ახალი გზები, ჩატარებულია 646 კილომეტრის რეკონსტრუქცია და რემონტი, შეკეთებულია 2.106 კილომეტრი, გაყვანილია 4.156 მეტრი ახალი ხიდები და მილები, შეკეთებულია 2.397 მეტრი ხიდები და მილები.

მაგრამ საქართველოშიც, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებშიც, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის მხრივ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

საგზაო ორგანოებმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა შრომითი მონაწილეობის გამოყენების მხრივ, რათა გამონახონ საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის ჩაბმის ახალი საშუალებანი და ამოცანად დაისახონ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის სრული გამოყენება, როგორც თვით მშენებლობაში, ისე გზების რემონტსა და მოვლაში.

დაბანდებათა უფრო რაციონალური გამოყენების, სერიოზული ტექნიკური ხელმძღვანელობის საქმეში გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს როგორც მშენებლობის, ისე გზების ექსპლოატაციის უზრუნველყოფა ინჟინერ-ტექნიკური კადრებით.

„თუ წინათ ცალმხრივად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ტექნიკას, მანქანებს, ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ. ამას მოითხოვს ჩვენი ლოზუნგი ტექნიკის შესახებ“,—ამბობდა ჩვენი პარტიის დიდი ბელადი ამხ. სტალინი.

საგზაო ორგანოებმა, სამწუხაროდ, არ გამოიყვანიათ აუცილებელი გაკვეთილები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებიდან რკინიგზების და გზატკეცილების ტრანსპორტის შესახებ, კერძოდ კადრების საკითხზე.

კადრების მომზადების საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მთელი ამიერ-კავკასიისათვის ურელსო ტრანსპორტის ინჟინრებს ამზადებს ტრანსპორტის ინჟინერთა ამიერ-კავკასიის ინსტიტუტი, რომლის ავტოსაგზაო ფაკულტეტზე სწავლობს 498 სტუდენტი.

მაგრამ უბედურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ სასწავლებელ დამთავრებულთ სწორად ვერ იყენებენ, უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდა ინჟინრები რჩებიან სამმართველო აპარატში, ხოლო ხაზზე მათი შედარებით მცირე რაოდენობა ხვდება.

სპეციალისტთა მაქსიმალური რაოდენობა ჩვენ გზატრანსების სამმართველო და ადმინისტრატიული აპარატიდან ხაზზე უნდა გადავიყვანოთ და შემოვიღოთ ისეთი წესი, როცა ყველა, ვინც უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს და ტექნიკუმებს დაამთავრებს, სამუშაოდ გაიგზავნოს უშუალოდ უბნებზე, რათა ავტოსაგზაო ტრანსპორტის ყველა სპეციალისტი, რომლებიც სხვა ორგანოებსა და უწყებებში მუშაობენ, დაბრუნებულ იქნას საგზაო სამუშაოებზე.

გზატრანსებმა ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ თავისი მუშაობა, უნდა გარდაიქმნას ხელმძღვანელობის სისტემა ავტოსაგზაო მეურნეობაში და, უწინარეს ყოვლისა, უნდა განმტკიცდეს ძირეული საგზაო ქსელი.

ძირეულ საგზაო საწარმოო რგოლს უნდა წარმოადგენდეს სარაიონო საგზაო განყოფილებანი.

სამწუხაროდ, ყველა რაიაღმასკომს როდი ესმის სარაიონო საგზაო განყოფილებათა განმტკიცების აუცილებლობა.

უმოკლეს ვადაში უნდა გამოიცეს „დებულება საექსპლოატაციო უბნის უფროსის, საგზაო ოსტატის და რემონტიორის უფლებამოვალეობათა შესახებ, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მათი როლის და პასუხისმგებლობის საგრძნობლად გადიდება გზის შენახვისა და მისი სწორი ექსპლოატაციისათვის“ (ს.ს.რ.კ.-ის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებიდან).

საქმე ეხება იმას, რომ უბნის თვითეული უფროსი საგზაო ოსტატი და რემონტიორი იცნობდეს თავის მოვალეობათა სფეროს, მუშაობის მოცულობას და პასუხისმგებელი იყოს დაკისრებული საქმისათვის.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის აგვისტოს გადაწყვეტილებამ ამიერ-კავკასიის საგზაო მეურნეობების გაუმჯობესების საკითხზე უდიდესი როლი ითამაშა საგზაო ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმეში 1933 წელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ ადგილობრივ ორგანოებს, უმთავრესად გზატრანსების მთავარსამმართველოთა ორგანოებს ადგილებზე, ეს გადაწყვეტილება მთლიანად არ შეუსრულებიათ.

ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობამ უნდა მოსთხოვოს ყველა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პირველ რიგში გზატრანსის ორგანოებს მთლიანად განახორციელონ სამხარეო კომიტეტის ეს გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებას საგზაო მეურნეობის გაუმჯობესების საკითხზე.

ამიერ-კავკასიის მიერ მიღწეული გრანდიოზული წარმატებანი არის შედეგი უდიდესი ბოლშევიკური მუშაობისა, რომელიც ჩაატარეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა, პარტიულმა, პროფესიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, რომელმაც შესძლო დაერაზმა ყოველივე საუკეთესო, ყოველივე შემოქმედებითი, რაც კი არის ჩვენს მხარეში, ჩვენი პარტიის ც. კ-ის და საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად, ამიერ-კავკასიის წინაშე დიდი პროლეტარული ბელადის ამხ. სტალინის მიერ დასმული ამოცანების გადაჭრისათვის საბრძოლველად. ეს იმის საწინდარია, რომ საგზაო ტრანსპორტის მხრივაც ჩვენ ჩავდგებით საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოწინავე რიგებში.

საგზაო მშენებლობის საქმე უნდა გადავაქციოთ მთელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სახალხო მეურნეობის ამიერ-კავკასიის მთელი მოსახლეობის საქმედ.

უყურადღებოდ მიტოვებული სარემონტო სახელოსნო

დუშეთის სარემონტო სახელოსნოს დიდი დავალება აქვს მიცემული. მან უნდა შეაკეთოს კოლმეურნეობების 6 ტრაქტორი, 102 გუთანი, 16 ტრიერი, 8 სანიავებელი, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში —161 გუთანი. 16 იანვრისათვის კი **მხოლოდ 10 გუთანია შეკეთებული.**

კოლმეურნეობებმა სახელოსნოში დიდიხანია შესაკეთებლად გამოგზავნეს ტრაქტორები, მაგრამ აქ დაკმაყოფილდენ იმით, რომ ამ ხნის განმავლობაში გაშალეს მხოლოდ ორი ტრაქტორი და უკირკიტებენ, თუ რა სტკივა მათ. გუთნისა და სხვა ინვენტარის შესაკეთებლად კოლმეურნეობებში უნდა გაიგზავნოს სარემონტო ბრიგადები, რომლებიც სახელოსნოს ჯერ კიდევ არ გამოუყვია.

სარემონტო სახელოსნო უზრუნველყოფილი არ არის ყველა საჭირო სათადარიგო ნაწილებით. დღემდე არ მოუმარაგებიათ სათბობი და საწვავი მასალა. ამრიგად, სავაზაფხულო [illegible]

[illegible]

თ. კუხულია.

ა.-კ. საბჭოთა VII ყრილობა

კამათი ამხ. გ. მუსაბეკოვის მოხსენების გარშემო

ამხ. ჰუსეინ რახმანოვის სიტყვა

(ა. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე)

ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობა აჯამებს უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ამიერ-კავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ხაზით ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგებს. ეს ოთხი წელი მდიდარია დიდი გამარჯვებებით ჩვენი მხარის მუშების, კოლმეურნეების და ყველა მშრომელის ბრძოლაში საბჭოთა ამიერ-კავკასიის კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო მძლავრ ორგანიზმად გადაქცევისათვის.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელიც შექმნილია უკვდავი ლენინის და დიდი სტალინის ინიციატივით, დღეს თავისი საბჭოების მორიგ ყრილობაზე ამაყად შეუძლია განუცხადოს ამხანაგ სტალინს, რომ მისი მითითებანი და დირექტივები ამიერ-კავკასიის გადაქცევის შესახებ ჩვენი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე მხარედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. ლავრენტი ბერია, წარმატებით ხორციელდება.

ამხ. მუსაბეკოვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში ამიერ-კავკასიის მთავრობის მუშაობის შესახებ მოახსენა ყრილობას, თუ რა წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ ამიერ-კავკასიაში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე. ჩვენ თქვენთან ერთად ვართ სოციალიზმისათვის იმ დიდი ბრძოლის აქტიური მონაწილენი, რომელსაც აწარმოებენ მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელნი. ამიერ-კავკასიის ფედერაციის—საბჭოთა კავშირის ამ საამაყოს და ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გადაჭრის საუკეთესო ნიმუშის დღევანდელი სახე ძირეულად განსხვავდება წარსული წლებისაგან. დღევანდელი საბჭოთა ამიერ-კავკასიისათვის დამახასიათებელი არის ის, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია მასში შემავალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებით—აზერბაიჯანით, საქართველოთი და სომხეთით, წარმოადგენს, არა სიტყვით, არამედ საქმით, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, მთლიან ინტერნაციონალურ, მჭიდროდ შეკავშირებულ სოციალისტურ ორგანიზმს, რომელსაც სათავეში უდგას ბოლშევიკური პარტია.

ჩვენი მიღწევების შესახებ ილაპარაკეს რესპუბლიკურ ყრილობებზე, მათ შესახებ ილაპარაკეს ამიერ-კავკასიის ყრილობაზე გამოსულმა ამხანაგებმაც. მე ვფიქრობ მთელი ყრილობის აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ, ვაჯამებთ რა ჩვენი მუშაობის შედეგებს უკანასკნელი 3—4 წლის მანძილზე, ვაჯამებთ რა ჩვენი წარმატებების შედეგებს, ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ წარმატებებმა ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუდახვევა, შეიძლება ადამიანები მიიყვანოს მედიდურობამდე. ეს რომ არ დავუშვათ, ამისთვის ჩვენ უნდა განვაცხადოთ დღეს, რომ ჩვენი წარმატებები და მიღწევები უკვე მუშაობის განვლილი ეტაპია. ჩვენ გადავდივართ 35 წელში, რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის წარმოადგენს ნავთისათვის, ბამბისათვის, ჩაისა და პარტიის ყველა დავალებისათვის შემდგომი ბრძოლის წელიწადს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მუშაობა 1935 წლის განმავლობაში წარმოებს განადგურებული, მაგრამ ჯერ კიდევ არა საბოლოოდ მოსპობილი კლასობრივი მტრის უბადრუკი ნაშთების გაძლიერებული წინააღმდეგობის პირობებში.

დღეს ჩვენ წავიკითხეთ ცნობა ზინოვიევის ყოფილი ოპოზიციის უბადრუკი და საზიზღარი ნარჩენების სამხედრო კოლეგიის სამართალში მიცემის შესახებ. ეს ხალხი კონტრრევოლუციონერების—ზინოვიევის, კამენევის და სხვების მეთაურობით [illegible] სასჯელს მიიღებს თავისი კონტრრევოლუციური მოქმედებისათვის, რომელიც მიმართული იყო პარტიის წინააღმდეგ, ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს ჩვენ გვავალებს ჩვენს ბოლშევიკურ ყოველდღიურ მუშაობაში უაღრესად ფხიზლად ვიყვეთ, დროზე გამოვაშკარავოთ კლასობრივი მტრის მანევრები, დროულად და დაუზოგავად ჩავახშოთ კლასობრივი მტრის ყოველგვარი ცდა წინააღმდეგობა გაუწიოს სოციალისტურ მშენებლობას.

1935 წლის პირველსავე დღეებში მთელი რიგი უბნები საკმაოდ არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს იძლევიან. რატომღაც ყრილობაზე ჩვენ ამის შესახებ ცოტას ვლაპარაკობთ.

ნავთის მრეწველობა—ამიერ-კავკასიის სოციალისტური მეურნეობის ყველაზე გადამწყვეტი დარგი—1935 წლის პირველ დღეებში ერთგვარ ჩამორჩენას გვიჩვენებს. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ბაქოსა და მთელს ამიერ-კავკასიაში ამ ცოტა ხნის წინათ გადავლილ გრიგალთან დაკავშირებით. გრიგალი, რასაკვირველია, ჩვენგან დამოუკიდებელი მოვლენაა, მაგრამ ზამთრისათვის მომზადება სავსებით და მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ აზნავთი ცუდად მოემზადა ზამთრისათვის. უკვე იანვარში, როცა ჩვენ ყოველდღიურად უნდა ამოგვეღო 57 ათასი ტონა ნავთი, გრიგალის შემდეგ ნავთის ამოღება 48 ათას ტონამდე დაეცა.

ზამთრის პერიოდი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ნავთისთვის ბრძოლაში ჩვენ უახლოეს დღეებში უნდა შევასრულოთ ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა პარტიის სამხარეო კომიტეტმა და აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა— აღვადგინოთ ნავთის ამოღების გრიგალის წინაპერიოდის დონე და სწრაფი ნაბიჯით წავიდეთ წინ, რათა 57 ათასი ტონის ამოღება დღეღამეში კვლავ [illegible] გარეშე უზრუნველყოფილ იქნას იანვარში.

ვლაპარაკობ რა ბამბაზე, მე უნდა განვაცხადო აქ, რომ თუმცა 1935 წელს საბჭოთა ამიერ-კავკასიამ და მასთან საბჭოთა აზერბაიჯანმაც მთლიანად და რამდენადმე გადაჭარბებით შეასრულა თავისი ვალდებულებანი პარტიისა და მთავრობის წინაშე,—ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებას მივეცეთ. ჩვენ საბრძოლო წესით უნდა ვემზადოთ 1935 წლის ბამბის კამპანიისათვის.

რას გვეუბნება მონაცემები 1935 წლის გაზაფხულისათვის მოსამზადებელი მუშაობის ტემპების შესახებ. გვეუბნება იმას, რომ სოციალისტური მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე სერიოზულ ჩამორჩენას აქვს ადგილი. ჩვენ, აზერბაიჯანელებმა, შევასრულეთ დავალება [illegible] დარგში, მაგრამ საქმე ამით სრულიადაც არ ამოიწურება, რადგან მძლავრად ნახნავის ხარისხი ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიმოწმებია. გარდა ამისა, საზაფხულო მორწყვის გეგმას ჩვენ ძალიან ცუდად ვასრულებთ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტის მხრივ არა მარტო აზერბაიჯანი, არამედ საქართველო და სომხეთიც ჩამორჩენილია. ეს ჩვენ გვავალებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მოსამზადებელი მუშაობის ამ უბანს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი მუშაობის მეთოდების შესახებ. რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ განსაკუთრებით 1934 წელს, თავისთავად წარმოიშვა, რომ ეს რაღაც განსაკუთრებით ხელსაყრელი წლის შედეგია. რაგინდ ხელსაყრელი არ უნდა იყოს წელიწადი, თუ კარგად არ იმუშავებ, ისე წარმატებებს ვერ მიაღწევ. ეს ჭეშმარიტება, ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია.

ჩვენი ხელმძღვანელობის მეთოდები, პარტიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობის მეთოდები რადიკალურად განსხვავდება გასული წლების მუშაობის მეთოდებისაგან. პარტიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის მეთოდები პირდაპირ გამომდინარეობენ მუშაობის სტალინური მეთოდებისაგან. მაგრამ ჩვენ ყრილობის წინაშე თვითკრიტიკის წესით უნდა ვაღიაროთ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის ამ მეთოდს, რომელიც მოეპოვება ჩვენს სამხარეო კომიტეტს და რომელიც უზრუნველყოფს ჩვენთვის გამარჯვებას ყველა უბანზე, როდი ითვისებენ ამიერ-კავკასიის და ა.-კ. ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. მათ საწყენად არ ვიტყვი და ჩვენს ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკურ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ მოეპოებათ ეგრეთწოდებული „საერთოდ ხელმძღვანელობის", საქმის შინაარსში ჩაუწვდომელად ხელმძღვანელობის ბევრი ელემენტები. ჩვენი აპარატის ცალკეულ რგოლებში მოიპოვება ჩვენი რაიონული და ძირეული ორგანიზაციების მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერების მოდუნების ელემენტები.

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკური საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე 1935 წელს დასახულია ამოცანა — ამოძრავდნენ, უფრო გაძლიერებული ტემპით განაგრძონ დაწყებული გარდაქმნა.

მე მინდოდა კიდევ შევჩერებულიყავი ერთ საკითხზე, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მე ვფიქრობ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობამ, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ორგანოებმა საბჭოთა აზერბაიჯანს უნდა აღმოუჩინონ განსაკუთრებული დახმარება აზერბაიჯანის ელექტროფიკაციის დარგში მუშაობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. მე მხედველობაში მაქვს საბჭოთა აზერბაიჯანის ჩამორჩენა ელექტრომშენებლობის დარგში. რასაკვირველია, ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის აზერბაიჯანის ორგანიზაციებს, ვინაიდან ჩვენ ცუდად ვმუშაობდით დაპროექტების საკითხებზე.

ჩვენ ვითხოვთ აღმოგვიჩინონ განსაკუთრებული დახმარება შემდეგი პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში:

1. ჩვენ უნდა დაგვეხმაროთ იმაში, რომ დავამთავროთ 1935 წელს ნუხის და კუბის ჰიდრო-სადგურების მშენებლობა, რაც დაწყებულია ამ ოთხი წლის წინათ.
2. დაგვეხმაროთ ვარვარის თბოსადგურის მშენებლობის დამთავრებაში.
3. დაგვეხმაროთ ტერტერის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის გაშლაში. ტერტერის ჰიდრო-ელსადგურის დიდი მნიშვნელობა ყველა აქ დამსწრეთათვის სავსებით გასაგებია. ამ ჰიდრო-სადგურის მშენებლობის დაუმთავრებლად ჩვენ ვერ შევძლებთ ენერგეტიკის საკითხის გადაჭრას განჯის სამრეწველო რაიონში.
4. ბოლოს, საპრობლემო ხასიათის დიდი საკითხი—ეს არის მინგეჩაურის პრობლემა. მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით წარმოებულმა საძიებელმა და მოსამზადებელმა მუშაობამ უკვე მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ორგანიზებული წესით უნდა დავაყენოთ მინგეჩაურის პრობლემის გადაჭრის საკითხი.

შემდეგი — ეს არის მებამბეობის შემდგომი განვითარების დარგი. ამიერ-კავკასია, და მასთან საბჭოთა აზერბაიჯანი, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზას.

1935 წელს ჩვენს წინაშე დასახულია მოსავლიანობის შემდგომი გადიდების სერიოზული ამოცანა. ეს ამოცანა მოითხოვს შემდგომი საირიგაციო მშენებლობას და სარწყავი მიწების ფართობის გადიდებას. ეს არის ბამბის ფართობების გადიდების და მოსავლიანობის ამაღლების საჭირო პირობა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ ენერგიულად, ბოლშევიკურად უნდა მოვკიდოთ ხელი იმ საპასუხისმგებლო, დიდ და საპატიო მუშაობას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს საბჭოთა ამიერ-კავკასიის წინაშე 1935 წელს. (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. მისკ რლი

(ალი ბაირამოვის რაიონი)

როცა ჩვენი სოფლის — ხელეჯის ქალებმა გაიგეს, რომ მე მივდივარ დელეგატად ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობაზე, ისინი შემომეხვიენ ირგვლივ და მთხოვდნენ დამესვა ყრილობაზე წყალის საკითხი.

მართლაც ეს საკითხი მთავარია ჩვენი სოფლისათვის. ჩვენი სოფელი ღებულობს წყალს მხოლოდ ზამთრის არატის და ბამბის ნათესების მორწყვის დროს, როცა წყალსაქაჩი, რომელიც გამართულია არაქსზე ჩვენგან 20—25 კილომეტრის დაშორებით იძლევა წყალს ნათესებისათვის.

დანარჩენ დროს სოფელი რჩება უწყლოდ. ჩვენ გვიხდება ერთი კასრი წყლისათვის ურემი წავიყვანოთ არაქსზე ანდა ვიყოთ უწყლოდ.

ეს მდგომარეობა გამოსწორდებოდა მაშინ, თუ ერთ წყალსაქაჩს დავდგამდით სოფელ ხელეჯში.

ამ ერთი წყალსაქაჩით შესაძლებელია მთლიანად დავაკმაყოფილოთ სოფელ ხელეჯის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნა, ამავე დროს მოვრწყათ დღემდი ხელუხლებელი 600 ჰექტ. მიწა და ძველი მიწა გავუშვათ სათიბად.

1934 წელს ჩვენ გადაჭარბებით შევასრულეთ ბამბის ჩაბარების გეგმა.

ჩვენი რაიონი ბამბის ჩაბარების გეგმას გასულ წლამდე ვერ ასრულებდა. გასულ წელს ამხ. ბერიას და ბაგიროვის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენმა რაიონმა ბამბის ჩაბარების გეგმა მთლიანად შეასრულა.

სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

საშემოსავლო გადასახადის მომქმედი დებულების შეცვლის შესახებ პურსა და ზოგიერთ სხვა პროდუქტზე საბარათო სისტემის გაუქმების თაობაზე ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1934 წლის 7 დეკემბერს მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით

იმ მიზნით, რომ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ იქნას სამუშაო ხელფასის მომატება, გათვალისწინებული საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით „გამომცხვარ პურზე, ფქვილზე და ბურღულზე საბარათო სისტემის და ტექნიკური კულტურების პურით დასაქონლების სისტემის გაუქმების შესახებ" (ს.ს.რ. კავშირის კანონთა კრებული 1934 წ. № 61, გვ. 445), ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი „1934 წლის 17 მაისის დებულებაში კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ (ს.ს.რ. კავშირის კანონთა კრებული 1934 წ. № 27, გვ. 21, პუნქტი ბ და № 33, გვ. 249).

1. დაწესდეს მუშების და მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებული გადამხდელების სამუშაო ხელფასის საშემოსავლო ხელფასით არადასაბეგრი მინიმუმი თვეში 140-150 მანეთის რაოდენობით (იმ მომატების ჩათვლით, რომელიც დაწესებულია გამომცხვარ პურზე, ფქვილსა და ბურღულზე საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით) ნაცვლად 90—115 მანეთისა თვეში 1934 წელს და განთავისუფლებულ იქნან საშემოსავლო გადასახადისაგან:

ა) მუშები, მოსამსახურეები და მათთან გათანაბრებული პირები, რომელთა ხელფასიც არ აღემატება 150 მანეთს ქალ. მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, მაგნიტოგორსკში, ბოდაიბოში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, ბლაგოვეშჩენსკში, [illegible] - [illegible]ში, ამურის [illegible]ში, აგრეთვე მურმანსკის [illegible] ლენინგრადის ოლქსა [illegible] კარელიის ა.ს.ს. რესპუბლიკაში:

ბ) მუშები, მოსამსახურეები და მათთან გათანაბრებული პირნი, რომელთა თვიური ხელფასი არ აღემატება 140 მანეთს, ს.ს.რ. კავშირის დანარჩენ ადგილებში.

გ) მოსწავლეები და სტიპენდიატები, რომელთა სტიპენდიაც თვეში არ აღემატება 200 მანეთს.

მუშებისა, მოსამსახურეებისა და მათთან გათანაბრებულ პირებისათვის იაკუტიის ა.ს.ს. რესპუბლიკაში და შორეული აღმოსავლეთის მხარის სახალინისა და კამჩატკის ოლქებში დაწესდეს არადასაბეგრი მინიმუმი 200 მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 150 მანეთისა თვეში.

2. შემცირდეს მუშების და მოსამსახურეების სამუშაო ხელფასიდან და მათთან გათანაბრებულ გადამხდელთა ნამუშევარიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები და დაწესდეს გადასახადის განაკვეთების შემდეგი ცხრილი:

145 მანეთს ზევით				90 კ.
145-ს ზევით		150 მან-დე		95 კ.
150	»	155	»	1 მ.
155	»	160	»	1 მ. 10 კ.
160	»	165	»	1 მ. 20 კ.
165	»	170	»	1 მ. 30 კ.
170	»	175	»	1 მ. 40 კ.
175	»	180	»	1 მ. 50 კ.
180	»	185	»	1 მ. 60 კ.
185	»	190	»	1 მ. 70 კ.
190	»	195	»	1 მ. 80 კ.
195	»	200	»	1 მ. 90 კ.
200	»	205	»	2 მ.
205	»	210	»	2 მ. 10 კ.
210	»	215	»	2 მ. 25 კ.
215	»	220	»	2 მ. 40 კ.
220	»	225	»	2 მ. 55 კ.
225	»	230	»	2 მ. 70 კ.
230	»	235	»	2 მ. 85 კ.
235	»	240	»	3 მ.
240	»	245	»	3 მ. 14 კ.
245	»	250	»	3 მ. 30 კ.
250	»	255	»	3 მ. 45 კ.
255	»	260	»	3 მ. 60 კ.
260	»	265	»	3 მ. 80 კ.
265	»	270	»	3 მ. 90 კ.
270	»	275	»	4 მ. 15 კ.
275	»	280	»	4 მ. 30 კ.
280	»	285	»	4 მ. 40 კ.
285	»	290	»	4 მ. 60 კ.
290	»	295	»	4 მ. 80 კ.
295	»	300	»	5 მ.
300	»	310	»	5 მ. 15 კ.
310	»	320	»	5 მ. 50 კ.
320	»	330	»	5 მ. 80 კ.
330	»	340	»	6 მ. 20 კ.
340	»	350	»	6 მ. 60 კ.
350	»	360	»	7 მ.
360	»	370	»	7 მ. 50 კ.
370	»	380	»	8 მ.
380	»	390	»	8 მ. 50 კ.
390	»	400	»	9 მ.
400	»	410	»	9 მ. 40 კ.
410	»	420	»	9 მ. 90 კ.
420	»	430	»	10 მ. 40 კ.
430	»	440	»	10 მ. 90 კ.
440	»	450	»	11 მ. 50 კ.
450	»	460	»	12 მ.
460	»	470	»	12 მ. 60 კ.
470	»	480	»	13 მ. 30 კ.
480	»	490	»	13 მ. 90 კ.
490	»	500	»	14 მ. 50 კ.
500	»	510	»	15 მ. 20 კ.
510	»	520	»	15 მ. 90 კ.
520	»	530	»	16 მ. 55 კ.
530	»	540	»	17 მ. 50 კ.
540	»	550		(გამოტოვებულია)
560	»	570	»	18 მ. 50 კ.
570	»	580	»	18 მ. 90 კ.
580	»	590	»	19 მ. 20 კ.
590	»	600	»	19 მ. 60 კ.
600	»			3,3 პროც. სა-

აღნიშნული დადგენილება შევიდეს ძალაში 1935 წლის 1 იანვრიდან.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კუიბიშევი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი. კრემლი.
1935 წ. 14 იანვარი.

ამხ. მათიკაშვილი

(ტფილისი)

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ, რა მდგომარეობა გვაქვს ცალკე რესპუბლიკებში მეცხოველეობის განვითარების დარგში.

საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდა 1934 წელს უდრის 9,7 პროცენტს, რაც შეადგენს 127 ათას სულს. ცხვარის და თხის რიცხვი გაიზარდა 144 ათასით. დიდად გაიზარდა ღორების სულადობა — 68 პროც., (200.000 სულით). ეს ზრდა უმთავრესად ხდება მოზარდის გამოზრდით. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალური წინაპირობა გვაქვს პირუტყვის შემდგომი ზრდისათვის უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე გასულ წელს გვქონდა. ის იქიდანაც ჩანს, რომ 1934 წელს ჩვენ შევინარჩუნეთ 55.000 ხბოთი მეტი, ვიდრე 1933 წელს, ბატკანი 81.000 სულით და გოჭი 138.000 სულით მეტი ვიდრე 1933 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობათა ხაზით მიდის უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე სხვა სექტორების მიხედვით. ასე მაგალითად, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების ხაზით მსხვილფეხა საქონლის ზრდა უდრის 28 პროც., ცხენის და თხის —35 პროც. და ღორების — 75 პროც.

საქართველოში ბევრია მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ საჭიროა შევინარჩუნოთ მეღორეობის ის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა გადაქცევას შევძლებთ სოციალისტური მესაქონლეობის სამაგალითო მეურნეობად.

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებამ, პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მოწოდებამ, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ, გამოიღო რეალური შედეგები. ამაზე ლაპარაკობს ისიც, რომ წელს ზამთარს უფრო მომზადებული შევხვდით. მკაცრი ზამთარია, მაგრამ ჯერ არც ერთი სული საქონელი არ დაღუპულა სიცივის გამო. საქონელს მომზადებული აქვს საკვები და კარგი ბინები.

მეცხოველეობის განვითარების ამოცანა ამიერ-კავკასიაში მჭიდროდ უკავშირდება საძოვრების სწორი ორგანიზაციის ამოცანას. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით 1931 წელს გადადგმულ იქნა სერიოზული ნაბიჯი. საქართველოს ([illegible]) აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მივიღეთ 27.000 ჰექტარი ზამთრის საძოვარი, 1930 წელში სომხეთში მივიღეთ 25 ათასი ჰექტარი ცხვრის საზაფხულო საძოვარი. საჭიროა ამ ფართობებს მივაქციოთ სერიოზული ყურადღება, დავიცვათ იგი. დიდი მუშაობაა ჩატარებული 1934 წელში საძოვრების ორგანიზაციისათვის საქართველოში. მოგვარებულია ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე და უკან საქონლის გასარეკი ფართობების გამოყოფა. ამით ჩვენ ბოლო მოვუღეთ [illegible] და შევქმენით ნორმალური პირობები ზამთრის საძოვრებიდან საქონლის გასარეკად.

შემდეგ ამხ. მათიკაშვილი ვრცლად შეჩერდა ბუნებრივი საძოვრების გამოყენების და ბალახების თესვის საკითხზე. ზაფხულში ამ უკანასკნელი საკითხის მოსაგვარებლად ჩატარდა თვალსაჩინო მუშაობა. შემიძლია ყრილობას მოვახსენო, რომ 1934 წელს ჩვენ შევძელით უზრუნველვყოთ საკუთარი თესლით 1935 წლისათვის 20 ათასი ჰექტარი. მიმდინარე წელს ჩვენ ვფიქრობთ ისე გავშალოთ მუშაობა, რომ 1936 წელს საკუთარი თესლით უზრუნველვყოთ 40 ათასი ჰექტარი.

შემდეგ ამხ მათიკაშვილი შეჩერდა საქონლის ჯიშების გაუმჯობესების და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე.

— 1935 წელი — ამბობს ამხ. მათიკაშვილი, — უნდა გადაიქცეს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ისეთ წლად, რომლის შედეგების შეჯამებისას თამამად შეგვეძლოს ლაპარაკი მოპოვებულ მიღწევებზე, ისე, როგორც დღეს თამამად ვლაპარაკობთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დიდ მიღწევებზე.

პროფ. მოსეთოიძე

ამხანაგებო! ყველა ჩვენგანი ხედავს პარტიის სწორი პოლიტიკის საფუძველზე, ინდუსტრიალიზაციის და საკოლმეურნეო წყობილების განვითარების საფუძველზე როგორ იზრდება და მდიდრდება ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ ბოლშევიკებმა ჩვენ მოგვცეს უფრო მეტი, ვიდრე ეს წარმატებანი. მათ ხელახლა აღგვზარდეს; იდეურად ჩვენ გავმდიდრდით. ყოველი ხელოვნება მხოლოდ მაშინ აღორძინდება, როცა მას იდეა გააჩნია. უკანასკნელმა ათმა წლიწადმა გვიჩვენა, რომ ევროპის ხელოვნება გადაიქცა ყველაზე უფრო ჭუჭყიან, შოვინისტურ, ეგოისტურ იარაღად ბურჟუაზიის ხელში. ამიტომ უნდა შევქმნათ ჩვენ ახალი ხელოვნება. ეს ახალი ხელოვნება იქმნება ჩვენს საბჭოთა კავშირში, კერძოდ საბჭოთა ამიერ - კავკასიაში. ჩვენ უნდა ვიყოთ არამარტო რიონჰესის ინჟინრები, არამედ ადამიანის სულის ინჟინრებიც, როგორც ეს გვითხრა ჩვენმა დიადმა ბელადმა ამხ. სტალინმა.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. ამ ამოცანების გადაჭრის გზაზე ძალიან ცოტა გავიარეთ; მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია ღრმა რწმენა, რომ ეს საქმე გაკეთდება, რადგან პარტიის ხაზი სწორია. ჩვენი თვითეული ნაბიჯი — გამდიდრებაა. ავიღოთ მაგალითად ახალი სახლების მშენებლობა, სანაპირო ქუჩის გაყვანა. ყველაფერი ეს ლაპარაკობს ჩვენს ზრდაზე, გამდიდრებაზე. მაგრამ როგორც აქ შენიშნა ერთმა ამხანაგმა ბაქოდან, ჩვენ გვესაჭიროება კარგი მშენებლობა, მატერიალური დამუშავება, ე. ი. ხარისხი. ეს უკვე ხელოვნებაა. ამ მხრივ ჩვენი მშენებლობა ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს ჩვენს ხელოვნებასთან ერთად.

როგორც უდიდეს წარმატებაზე, მე უნდა ვთქვა აგრეთვე ბოლშევიკურ ნაციონალურ პოლიტიკაზე, რომელიც ტარდება ამიერ - კავკასიაში. წინათ აქ ყოველთვის იყო მტრობა. წინათ ადამიანები ფიქრობდნენ არა იმაზე, თუ როგორ წასულიყვნენ წინ, არამედ იმაზე, თუ როგორ შეეფერხებიათ სხვები. ძირს დაეცა ისინი. ბოლშევიკებმა ჩვენ გაგვაერთიანეს. აქ, ტფილისში, ყოფილი ციხე გადაკეთდა ხელოვნების სახლად. ყოფილი ტაძარი, რომლის კედლებზე წინათ სისხლი ჩამოდიოდა იქცა შენობად, სადაც ჩატარდა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მხატვართა ოლიმპიადა. ჩვენ ერთმანეთს გავაცანით გამოცდილება. ეს ხელოვნების უდიდესი გამარჯვებაა. ამიერ - კავკასია იძლევა არა მარტო ნავთს, მარგანეცს, კაუჩუკს, მარმარილოს, იგი, იძლევა აგრეთვე ტალანტებს. ლამაზი ამიერ - კავკასია იძლევა ლამაზ, შემოქმედ ადამიანებს.

ამხანაგებო! ჩვენ უნდა მოვამზადოთ ჩვენი ბავშვები არა მარტო იმისათვის, რომ იმუშაონ, სიყვარულით უცქირონ სოციალისტურ ამიერ-კავკასიას. ამიერ - კავკასიის მხატვრები, გაერთიანებული ძალით, გამოზრდიან ახალ კადრებს მოძმე რესპუბლიკებისათვის, ისე, რომ მათ შესძლონ ახალი სიტყვა სთქვან ამ დარგში და შექმნან მსოფლიო ხელოვნება. ამის საწინდარია ბოლშევიკური პარტია, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სტალინის მეთაურობით მიიმართება წინ. ამის საწინდარია ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც მეთაურობს სტალინის საუკეთესო მოწაფე ლავრენტი ბერია.

ჩვენი მუშაობით, ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, დავამშვენებთ საბჭოთა ქვეყნის დიად მშენებლობას.

ამხ. გ. სულთანოვი

(აზერბაიჯანის გზატრანსის უფროსი)

საბჭოთა აზერბაიჯანს უკვე აქვს 10.610 კილომეტრი კარგი გზები, აქედან, ფედერატიული და რესპუბლიკური მნიშვნელობისაა 3.450 კილომეტრი. გზების 14.6 პროც., ასფალტირებულია, მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი. საბჭოთა აზერბაიჯანს, რომელიც მებამბეობის მეორე ბაზად ითვლება მთელს საბჭოთა კავშირში, უნდა ჰქონდეს კარგი გზების ფართო ქსელი.

ახალი გზების მშენებლობა დღემდე არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად, მუღან-მილის რაიონებში ძლიერ ნელი ტემპით კეთდება გზები.

ამხ. ილიუშინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ უგზოობის გამო ჩვენ ბევრ რამეს ვკარგავთ. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას აზერბაიჯანზე, სადაც უგზოობის გამო იკარგება დიდძალი ბამბა. ეს გარემოება გვიკარნახებს საგზაო მშენებლობის ტემპები გავაძლიეროთ და უზრუნველვყოთ რესპუბლიკის თვითეული რაიონი კარგი, კულტურული გზებით.

ჩვენი მორიგი სამუშაოა ბაქო-შემახის გზის მშენებლობა, რაზედაც წელს გადადებულია 1.600.000 მანეთი. ამ გზის დამთავრებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო აზერბაიჯანისათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

შემდეგ ამხ. სულთანოვი ყრილობას მოუთხრობს აზერბაიჯანის გზატრანსის ხაზით საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულების შესახებ. 1934 წელს აშენებულია 109 კილომეტრის ახალი გზა, რაც შეადგენს გეგმის 140 პროც., გაკეთებულია 35 ხიდი, (გეგმის 108 პროც.) გზების მიმდინარე შეკეთება ჩატარებულია 1.704 კილომეტრზე (105 პროც.).

1935 წელს საგზაო მშენებლობისათვის საჭიროა სათანადო თანხების დროზე გამოყოფა. საბჭოებმა დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ საგზაო მშენებლობაში. საზოგადოებრივ აზრი უნდა დავრაზმოთ საგზაო მშენებლობის ირგვლივ.

ამხ. ქურდაძე

(საქ. გზატრანსის უფროსი)

ამხ. ქურდაძე ვრცლად შეჩერდა საქართველოში საგზაო მშენებლობის მდგომარეობაზე და ყრილობას გააცნო დაბანდებანი, რომელიც 1935 წელს საგზაო მშენებლობას მოხმარდება.

საქართველოს საგზაო მეურნეობა ამიერ - კავკასიის საბჭოების მე-7 ყრილობაზე მოვიდა დიდი მიღწევებით. მაგალითად, თუ 1930 წლისათვის გვქონდა 1.600 კილომეტრი გზა, წელს გვაქვს 11 ათასი კილომეტრი. მაგრამ ეს სრულებით ვერ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნილებას, რომელსაც სოციალისტური მშენებლობა უყენებს საგზაო მშენებლობას.

რაიონულმა აღმასკომებმა და სოფლის საბჭოებმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა საგზაო მშენებლობისათვის, საქართველოს აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ქონდეს კარგი, კულტურული გზები. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მოკლე დროში უნდა მივაღწიოთ ამას.

ამხ. ტაგიევი

(აზერბაიჯანი)

ყრილობის ყურადღებას მიაქცევს საგზაო მშენებლობაში სასოფლო საბჭოების მონაწილეობაზე. ამხ. ტაგიევი ლაპარაკობს, რომ საბჭოებს შეუძლიათ შეასრულონ უდიდესი როლი სოფლებში კულტურული გზების მშენებლობის მხრივ. საბჭოებმა ფართოდ უნდა გაშალონ მასობრივი მუშაობა და ჩააბან კოლმეურნეები და მშრომელი გლეხობა საგზაო მშენებლობაში. კარგ გზებს სოფლისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ეს უნდა შეიგნოს საბჭოების საგზაო სექციებმა. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ ამ სექციებს ყველგან შემოიკრიბონ მშრომელი გლეხობა და საგზაო მშენებლობა გადაქციონ თვითეული სოფლის ღირსების საქმედ. საგზაო მშენებლობის დამკვრელები ფართოდ უნდა გავაცნოთ ქვეყანას.

ამხ. აკოფიანი

(სომხეთი)

სომხეთის გზებს წინა ყრილობებზე ასახელებდნენ, როგორც სამაგალითო გზებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, არასაკმაო თანხების დაბანდების გამო, ჩვენი გზები უვარგისი ხდებიან.

ახალი გზების მშენებლობა სომხეთში კარგად მიმდინარეობს, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ძველი გზების შეკეთებას არ ექცევა საკმაო ყურადღება.

1934 წელს სომხეთში გზების ქსელი გაიზარდა 30 პროც., მაგრამ ეს არ არის დამაკმაყოფილებელი. საავტომობილო გზების მშენებლობა სომხეთში გადაუდებელი ამოცანაა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სომხეთში რკინის გზები არ არის. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას საგზაო მშენებლობის ხარჯები და ადგილობრივ ორგანიზაციების ყურადღება მიექცეს ამ საკითხს. 1935 წელს საგზაო მშენებლობის დარგში ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებებს.

ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილება

ამხ. პ. ს. აღნიაშვილის ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დანიშვნის შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის აქ არყოფნის დროს ამ უკანასკნელის მოვალეობის შესრულება დაეკისროს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. პეტრე სიმონის-ძე აღნიაშვილს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია

20 იანვარი 1935 წ.
ქ. ტფილისი.

★

ამხ. დ. ი. ალანიას ა.-კ. ცაკის მდივნის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დანიშვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის აქ არყოფნის დროს ამ უკანასკნელის მოვალეობის შესრულება დაეკისროს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. დიმიტრი ივანეს-ძე ალანიას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია

20 იანვარი 1935 წ.
ქ. ტფილისი.

ამხ. მალხაზიანი

(სომხეთი)

ჩვენი გამარჯვებანი ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგია. ეს ცხადად მოსჩანს კერძოდ ჩვენი — აპარანის რაიონის მაგალითზეც. გასულ წლებში ამ რაიონში ჩვენ გვქონდა თვალსაჩინო სიძნელეები, მაგრამ ისინი დავძლიეთ, ჩვენ მოვახერხეთ აპარანის რაიონის გადაქცევა საბჭოთა სომხეთის ერთერთ მოწინავე რაიონად.

მსხვილფეხა პირუტყვის ზრდის საფუძველზე გამაგრდენ ჩვენი კოლმეურნეობები. გაიზარდა შრომადღის ანაზღაურება. ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომადღეზე მიიღეს 16-18 კილოგრამი მარცვლეული. ამ წარმატებათა მოპოვებას ხელი შეუწყო სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გატარებამ. შეიქმნა მანქანა - ტრაქტორთა სადგური. შეწყდა რაიონიდან გადასახლების პროცესი. რასაც წინად ჰქონდა ადგილი; ახლა ჩვენს რაიონს ემატება ახალი მოსახლეობა. გასულ წელს 846 მშრომელი მეურნეობა შევიდა კოლმეურნეობაში.

ჩვენ ვაჩაღებთ აგრეთვე კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობას. რაიონის 47 კოლმეურნეობიდან 28-ს უკვე აქვს კარგად მოწყობილი საკუთარი საჯინიბო, ავაგეთ 8 ახალი სკოლის შენობა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. კოლმეურნეთა კულტურული დონე სწრაფად იზრდება და ამ დარგში ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. ჩამორჩენით საგზაო მშენებლობის დარგში. ამ მხრივ წელს დავსახეთ შესაფერი გეგმა; უნდა გავიყვანოთ ახალი გზა 18 კილომეტრზე, კაპიტალურად უნდა შევაკეთოთ 28 კილომეტრზე უნდა განვავითაროთ კავშირგაბმულობის ქსელი და სხვ.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მთაგორიანი რაიონები უფრო ჩქარი ტემპებით განვითარდნენ და აყვავდნენ. სამხარეო კომიტეტის და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით და ხელმძღვანელობით ეს რაიონები გადაიქცევიან მოწინავე რაიონებად.

ამხ. პაპინიანი

(სტეპანავანის რაიონის კოლმეურნე)

— 1933 წელს რაიონში სისტემატიურად მცირდებოდა პირუტყვის რაოდენობა. გასულ წელს შემცირება შეჩერდა და პირუტყვის რაოდენობა რაიონში გაიზარდა 26 პროც.

1933 წელს ძროხების წველადობა ჩვენს ფერმაში საგრძნობლად გადიდდა. ყველა ეს მიღწევა ჩვენ მოვიპოვეთ კონცენტრირებულ საკვების გამოუყენებლად.

კონცენტრირებული საკვები, რომ გვქონოდა, მაშინ ჩვენ ძროხების წველადობას უფრო მეტად გავადიდებდით.

ჩვენ ვაძლევთ პირობას ყრილობას რომ 1935 წელს გამოვზრდით 160 სულ ხბოს.

აკსფსრ სახკომსაბჭოს დადგენილება

1934 წლის სასოფლო სამეურნეო სამუშაოების შესრულებისათვის ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სასოფლო რაიონების დაჯილდოების შესახებ.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1934 სასოფლო-სამეურნეო წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ა) ფულადი ჯილდოთი ორმოცდაათ-ორმოცდაათი ათასი მანეთის ოდენობით შემდეგი რაიონები:

საქართველოში: ქობულეთის ჩაის რაიონი, მახარაძის ჩაის რაიონი და სოხუმის მეთამბაქოობის რაიონი.

სომხეთში: ყურდუკულინის მებამბეობის რაიონი და ნორ ბაიაზეთის მეცხოველეობის რაიონი.

აზერბაიჯანში: ყასუმ - იზმაილოვის, ალი - ბაირამლის და [illegible] მებამბეობის რაიონები და სტეპანაკერტის მეცხოველეობის რაიონი (მთიანი ყარაბაღის ავტონომ. ოლქი).

ბ) სამგზავრო ავტომანქანებით:

საქართველოში: ზუგდიდის ჩაის რაიონი და სიღნაღის მეთამბაქოობის რაიონი.

სომხეთში: თალინის მეცხოველეობის რაიონი და;

აზერბაიჯანში: [illegible] გოკჩაის და კარიაგინოს მებამბეობის რაიონები.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ი. [illegible]

19 იანვარი, 1935 წ.

სრულიად-რუსეთის საბჭოების მე-XVI ყრილობა

19 იანვრის დილის სხდომა

მოსკოვი, 18 იანვარი. სრულიად - რუსეთის საბჭოების მე-16 ყრილობის 19 იანვრის დილის სხდომაზე წარმოებდა კამათი ამხ. კალინინის მოხსენების გარშემო. პირველი სიტყვა ეძლევა უდმურტიის ასს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. **ივანოვს.**

— უდიდესმა წარმატებებმა სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, ამბობს ამხ. ივანოვი, მკვეთრად გააუმჯობესა მშრომელთა მატერიალური - საყოფაცხოვრებო პირობები.

ამხ. **ოვჩინიკოვი** (აზოვ-შავი ზღვის მხარე) თავის გამოსვლაში უმთავრესად შეეხო საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობას დონის როსტოვში.

მეფის რეჟიმის დამხობასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა ბორკილების ციმბირი. ვეებერთელა ტერიტორიაზე სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ექმნება ახალი ქალაქები მრავალი ათეული და ასეული ათასი მცხოვრებით. ამის შესახებ ყრილობას უამბეს ამხ. **ვორონინმა** (დასავლეთ ციმბირი) და **კამბალინმა** (აღმოსავლეთ ციმბირი).

ტრიბუნაზე ადის მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ბულგანინი.** მისი მკაფიო სიტყვა, რომელიც ასურათებს პროლეტარული დედაქალაქის რეკონსტრუქციისათვის წარმოებულ სამუშაოთა გრანდიოზულ გაქანებას, არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

4 წლის განმავლობაში აგებულია 2300 საცხოვრებელი სახლი და დაშენებულია 325 სახლი, დაახლოებით 500 ათასმა კაცმა მიიღო საბინაო ფართობი; გაყვანილია 25 ახალი ტრამვაის ხაზი სიგრძით 100 კილომეტრამდე, ერთიორად გაფართოებულია წყალსადენი. აგებულია ორი წყალსაყვანი და ორი კაშხალი, 2 მილიონი კვადრატული მეტრი გაუმჯობესებული ქვაფენილი, 7 კილომეტრი გრანიტის სანაპიროები, 20 ფაბრიკა სამზარეულო, 12 მექანიზებული პურის საცხობი ქარხანა, ათობით სკოლები, ახალი აბანოები, სამრეცხაოები, სასტუმროები და კლუბები.

ჩვენ გვინდება საფუძვლიანად გარდავქმნათ მოსკოვი, რომელიც კაპიტალისტებისაგან მივიღეთ უსწორმასწორო ქუჩებით, შესახვევებით და ჩიხებით.

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებით, - ამბობს ამხ. ბულგანინი, — მოსკოვში და მოსკოვის ოლქში მიმდინარეობს ორი გრანდიოზული მშენებლობა, რომლებიც გადამწყვეტნი არიან მოსკოვის შემდგომი გარდაქმნის ბედს: მეტროს და ვოლგა - მოსკოვის არხის მშენებლობა.

მქუხარე ტაშით ხვდება ყრილობა ამხ. ბულგანინის განცხადებას, რომ მეტროს პირველი რიგი უახლოეს დროში გადაიცემა საექსპლოატაციოდ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ,— განაგრძობს ამხ. ბულგანინი, — რომ ვოლგა - მოსკოვის არხის მშენებლობა დამთავრდება პარტიის და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში.

ჩვენი მშენებლობის წარმატებანი საქალაქო მეურნეობის დარგში, ამბობს ამხ. [illegible], — შევა მუშათა კლასის გამარჯვებათა ისტორიაში და ამ საოცრებათა წიგნის პირველ გვერდზე უნდა აღინიშნოს იმათი სახელები, ვინც მთელი სიგრძე - სიგანით დააყენა საკითხი ქალაქების რეკონსტრუქციის შესახებ - ამხანაგების სტალინის და კაგანოვიჩის სახელები.

— მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება ჩვენში წლითიწლობით უმჯობესდება, ამბობს ამხ. **ხემიონოვი** (გორკი). ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ლენინ სტალინის პარტია ახორციელებს სოციალისტური მშენებლობის პროგრამას.

უდიდესი წარმატებებია მიღწეული პარტიის და მთავრობის დირექტივის განხორციელებაში ლენინგრადის სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად გადაქცევის შესახებ, ამაზე თავის მოხსენებაში ლაპარაკობს ამხ. **ედელსონი.** განვლილ წლებში ლენინგრადის საქალაქო მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 933 მილიონი მანეთი, 250 ათასმა მუშამ მიიღო ახალი საბინაო ფართობი. წინათ ქალაქის ბევრ განაპირა უბანში არ იყო წყალი, კანალიზაცია, ამჟამად ლენინგრადის მუშათა რაიონები ვოლოდარსკის, კიროვის ვიბორგის და სხვა რაიონები ძირფესვიანად შეიცვალა.

აქ აგებულია დიდი სახლები, კანალიზაცია, წყალსადენი, უხვად არის სინათლე და სიმწვანე, მაგრამ რაც მიღწეულია, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებს. საჭიროა შეუსუსტებელი ბრძოლა მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის, მისი ტემპების გაძლიერებისათვის.

ამხ. **სარუმოვი** (ყაზახსტანი) ყრილობას მოუთხრობს დიდ წარმატებათა შესახებ ყაზახსტანის რესპუბლიკის დედაქალაქის ალმა ატის,— წინათ ნაკლებად ცნობილი ქალაქის [illegible]. — გარდაქმნის საქმეში, და ამავე დროს მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

ყრილობის დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **გალკინი** (სვერდლოვსკი), **ნოვიკოვი** (კალინინი), **საზონოვი** (ბინათკავშირის ცენტრალური სამმართველო). **შაბორინი** (იაკუტია) და **არდანიანი** (ტაგანროგი), რომლებმაც ყრილობას გაუზიარეს ქალაქის კეთილმოწყობისათვის წარმოებული ბრძოლის გამოცდილება (ატს).

დაიხურა უზბეკისტანის საბჭოების ყრილობა

ტაშკენტი, 19 იანვარი. დაიხურა უზბეკისტანის საბჭოების ყრილობა. იგი წარმოადგენდა რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მკაფიო დემონსტრაციას. მიღებულ რეზოლუციებში ყრილობამ დასახა მეორე ხუთწლედის უდიდესი ამოცანების რეალიზაციის გზები.

ცაკის ახალ შემადგენლობაში არჩეულია 300 კაცი. საბჭოების საკავშირო ყრილობის პირველ დელეგატად მქუხარე ტაშით არჩეულია ამხანაგი სტალინი.

ცაკის პირველ სესიაზე უზბეკისტანის სს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ახუნ ბაბაევი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ფაიზულა ხოჯაევი (ატს).

ბავშთა სანიმუშო კერა



ბავშთა კერები ტფილისის მსხვილ საწარმოებში უდიდეს დახმარებას უწევენ წარმოებაში მომუშავე ქალებს. მათ საშუალება აქვთ თავიანთი ბავშვები დასტოვონ მუშაობის საათებში ბავშთა კერაში, სადაც ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია საუკეთესო კვება, დასვენება, გაწრთვნა, კულტურული აღზრდა და ვარჯიშობა. ერთ-ერთ სანიმუშო საბავშო კერას წარმოადგენს „ბავშთა მეგობრის“ საზოგადოების № 1 საბავშო კერა. ეს კერა მომსახურებას უწევს 129 ბავშს, რომელთა დედები მუშაობენ წარმოებაში (მაუდის ფაბრიკა, კონსერვის ქარხანა და სხვ.).

სურათზე: ბავშვები კერაში ვარჯიშობის დროს.

ჭიათურის ამხ. კიროვის სახ. სახელმწიფო თეატრი

ჭიათურის ამხ. კიროვის სახ. სახელმწიფო თეატრში 1934-35 წლის სეზონი წარმატებით მიმდინარეობს. სეზონი გაიხსნა წარსული წლის ოქტომბერში არჩ. [illegible]—„ლაშქარით“. ამას გარდა დღემდე დადგა ორი პრემიერა: ნინოშვილის — „ქრისტინე“ ახლად გადმოკეთებული შ. გაბუნიას მიერ და შვარკინის —„ნაბიჭვარი“. განახლებული იქნა: კირშონის— „სასამართლო“, ა. ვაკელის—„აპრაკუნე“ და გ. ბააზოვის—„მუნჯები“.

ამჟამად თეატრი ამზადებს შექსპირის— „ოტელლოს“, დარისპანაშვილის — „ხიდქვეშ“.

მაისის შუა რიცხვებში თეატრი იდღესასწაულებს არსებობის ათი წლის თავს. განზრახულია მოეწყოს გასტროლები ტფილისსა და ქუთაისში. თეატრის მთავარი რეჟისორი და ხელმძღვანელია ამხ. პავლე ფრანგიშვილი.

ივნისის ბოლო რიცხვებში დამთავრდება თეატრის გაფართოება. ემატება: ლოჟები ამფითეატრი და ბალკონი: დაიტევს 650 კაცს. თეატრს დიდ დახმარებას უწევს შავი ქვის ტრესტის სამმართველო და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები.

◆◆

მფრინავთა პირველი გამოშვება საქართველოში

საქართველოს ოსავიაქიმის პილოტთა ერთწლიანმა სკოლამ დაამთავრა მუშაობა და 20 იანვრიდან დაიწყო კურსდამთავრებულთა გამოცდა თეორიულ საგნებში.

პილოტთა სკოლის მსმენელები არიან და ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მუშა-ქალები, რომელნიც მეცადინეობდნენ სამუშაო საათებში, წარმოებას მოუწყვეტლად. 30 იანვარს აეროდრომზე პარტიულ, საბჭოთა და საშეფო ორგანიზაციების და ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელთა წინაშე კურსდამთავრებულები ჩაატარებენ თავიანთ მიღწევათა დემონსტრაციას ფრენისობაში, რის შემდეგ გაიმართება საზეიმო საავიაციო დღესასწაული.

პილოტთა სკოლა პირველად საქართველოში ქვეყანას მისცემს ახალგაზრდა მფრინავებს.

საქართველოს არქიტექტორები ემზადებიან

საქართველოს არქიტექტორები ფართოდ ემზადებიან საბჭოთა არქიტექტორების სრულიად საკავშირო ყრილობისათვის.

ტფილისში თებერვალში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კონფერენცია. კონფერენციის მუშაობის პროგრამა უკვე შემუშავებულია.

კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საბჭოთა არქიტექტურის საკითხებს საქართველოში და მის ამოცანებს სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

◆◆

ქ. ქუთაისი იცვლის თავის სახეს. მთავარ ქუჩებზე უხვად გაშენებულია დაფნები და სხვადასხვა დეკორატიული მცენარეები.

სურათზე: იშვიათი სილამაზის დაფნის ხე ქუთაისის ქალაქის ბაღში

აკაკი წერეთლის გარდაცვალების 20 წლის თავი

წელს სრულდება ქართველი დიდი მწერლის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 95, ხოლო გარდაცვალებიდან 20 წელი. ამ თარიღის, სათანადოდ აღსანიშნავად მთელმა რიგმა კულტურულმა საზოგადოებებმა ფართოდ გაშალეს მოსამზადებელი სამუშაოები. ქუთაისის ლიტერატურულმა გაზეთმა „სიტყვა და საქმემ“ გამოაქვეყნა აკაკისადმი მიძღვნილი მასალები და [illegible] უცნობი ლექსები. 6 თებერვლის ნომერი „ლიტერატურული გაზეთისა“ სპეციალურად მიეძღვნება აკაკი წერეთლის შემოქმედებას. გარდა ამისა სახელგამი გამოსცემს აკაკის ერთტომეულს, სადაც შევა რჩეული ნაწარმოებები, „ლიტერატურული გაზეთი“ უშვებს აგრეთვე აკაკისადმი მიძღვნილ კრებულს.

აკაკის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციისათვის თებერვლის რიცხვებში რაიონულ კლუბებსა და მუშ. კლუბებში ჩატარდება აკაკი წერეთლის შემოქმედების საღამოები. სტალინის სახ. საცდელ-საჩვენებელ და ვოროშილოვის სახ. კლუბებში გამართულ საღამოებზე ქართველი მწერლები გამოვლენ მოხსენებებით და სიტყვებით. არტისტები წაიკითხავენ აკაკის ნაწარმოებებს. ცალკე დარბაზებში კი მოეწყობა სპეციალური გამოფენები მიძღვნილი აკაკისადმი.

გარდა ამისა ვოროშილოვის კლუბში გადაწყვეტილია ჩატარდეს ლექციები გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტში აკაკის მოღვაწეობასა და ცხოვრების შესახებ.

◆◆

22 იანვარი არასამუშაო დღეა

სახკომსაბჭოს განმარტებით 22 იანვარი, — 1905 წლის **9 იანვრის** (სისხლიანი კვირის) და **ვ. ი. ლენინის** ხსოვნის დღე, — **არასამუშაო დღეა.** ამ დღეს მუშაობს მხოლოდ ტრამვაი, საავადმყოფოები, ტელეგრაფი, წყალსადენი და სხვ., ე. ი. განუწყვეტლივ მომქმედი საწარმოები, (სადაც მუშაობის შეწყვეტა საწარმოო - ტექნიკური პირობების გამო შეუძლებელია). საზოგადოებრივი ხასიათის და აუცილებელი სარემონტო სამუშაოები.

ლენინის დღეები ტფილისში

ტფილისის უდიდეს საწარმოებსა და კლუბებში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა ლენინის დღეებისა და სისხლიანი კვირის 30 წლისთავისათვის.

ორთქლმავლების სარემონტო და ვაგონების სარემონტო ქარხნების, აგრეთვე ტფილისის რკინიგზის კვანძის სხვა საწარმოების ყველა საამქროსა და ბრიგადებში სასადილოდ დასვენების დროს ტარდება საუბრები ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, 9 იანვრის ამბების შესახებ. მიმდინარეობს ლენინის და სტალინის იმ წერილების მასობრივი დამუშავება, რომლებშიაც გამუქებულია ზინოვიევის და კამენევის ანტიპარტიული გამოსვლები 1917 წელს და მასალები შემდგომ წლებში მათი კონტრ-რევოლუციური მუშაობის შესახებ.

22 და 23 იანვარს პარტკრებებზე მოსმენილ იქნება ლენინური გაწვევის კომუნისტების საანგარიშო მოხსენებანი.

ამიერ - კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების პარტკაბინეტის ინიციატივით, ორთქლმავლების სარემონტო ქარხნების საუკეთესო დამკვრელების, ლენინური გაწვევის კომუნისტების ამხ. ქიქინაძის და ტიმოფეევის ბინაზე პარტიელების, კომკავშირელების და პოლიტსკოლების მსმენელთა მონაწილეობით ეწყობა ამხანაგური შეხვედრა. ფინჯან ჩაიზე ამხ. ქიქინაძე და ტიმოფეევი გააცნობენ ამხანაგებს თავის მუშაობას წარმოებაში, უამბობენ მათ თავისი ზრდის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ ისინი კომუნისტების ავანგარდულ როლს თავისი საწარმოს საწარმოო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ტფილისის სადგურის პარტორგანიზაციის [illegible] კრებაზე მოხსენებით გამოვლენ კომუნისტები, საუკეთესო დამკვრელები ამხ. ლორია და ვარდიშვილი.

ტფილისის რკინიგზის კვანძის ყველა საწარმოში ეწყობა მოგონებათა საღამოები, რომლებიც მიძღვნილი იქნება 1905 წლის რევოლუციური ამბებისადმი.

ეწყობა კოლექტიური დასწრება კინოფილმზე „სამი სიმღერა ლენინზე“, 22 იანვარს საწარმოებში შესდგება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრებები.

სტალინის სახელობის რაიონულმა საცდელ - საჩვენებელმა კლუბმაც კლუბზე მიმაგრებულ საწარმოებში ჩაატარა მოხსენებანი, საუბრები ლენინის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ და 9 იანვრის ამბების შესახებ.

18 იანვარს გაიმართა საბავშვო დილა, რომელსაც დაესწრო 1.500 ბავშვი. ჩატარდა საუბარი: „ლენინი და ბავშვები“. შემდეგ ნაჩვენები იყო კინო-სურათი და მოეწყო კონცერტი.

21 იანვარს დამკვრელის ოთახში და კლუბის მცირე დარბაზში შესდგება 1905 წლის ამბების მოგონებათა საღამოები, რომლებზედაც მონაწილეობას მიიღებენ ძველი რევოლუციონერები.

ყველა საკლუბო წრეებში წარმოებს შემდეგი თემების დამუშავება ლენინზე: „ლენინი და რელიგია“, „ლენინი და ხელოვნება“ და სხვ.

ვოროშილოვის სახელობის რაიონული კლუბი 21 და 22 იანვარს აწყობს საუბრებს ლენინის და 9 იანვრის შესახებ, აგრეთვე სამხატვრო წრეების გამოსვლებს ორჯონიკიძის რაიონის საწარმოებში.

22 იანვარს კლუბში გაიმართება საღამო სპეციალური პროგრამით.

განათლების მუშაკთა სახლში 21 იანვარს შესდგება საბავშვო დილა, მიძღვნილი ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი და სისხლიანი კვირის წლისთავისადმი.

21 იანვარს, საღამოს, ტარდება მოხსენება თემაზე: „ლენინი კულტურისა და კულტურული რევოლუციის შესახებ“.

22 იანვარს მოხსენება—„11 წელი ულენინოდ“.

განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკა აწყობს ლენინის ნაწარმოებების და ლენინის შესახებ ნაწარმოებების გამოფენას. (ადს).

◆◆

მიწისძვრა ბათომში

ბათომი, 19 იანვარი. 4 საათსა და 55 წუთზე ადგილობრივი დროით ბათომში საგრძნობი იყო 2 მიწისქვეშა ბიძგი. პირველი ბიძგი, რომლის ძალა სამ ბალს უდრიდა, ნახევარ წუთს გაგრძელდა, ხოლო მეორე, გაცილებით უფრო სუსტი ბიძგი, საგრძნობი იყო პირველიდან რამდენიმე წამის შემდეგ.

პირველი ბიძგი ისეთი სიმძლავრის იყო, რომ შენობებისა და ავეჯის ზანზარისაგან მოსახლეობის ნაწილს გაეღვიძა.

ასეთივე ძალის მიწისძვრა საგრძნობი იყო აგრეთვე ფოთში, სამტრედიაში, ქობულეთში, ოზურგეთში (ადს).

◆◆

კინო-სალექციო მუშაობის გაშლისათვის

სახკომსაბჭოს კულტინსპექციასთან ეწყობა კინო-სალექციო ბიურო, რომლის მიზანია კინო-სალექციო მუშაობის ფართო გაშლა მასებში. ამ მიზნით მუშათა კლუბებში სისტემატიურად უნდა ჩატარდეს საუკეთესო კულტფილმების ჩვენება და მასთან ერთად ლექციის ჩატარება ნაჩვენები სურათის შესახებ.

გარდა ამისა მუშათა კლუბებში დაიწყება საქკინმრეწვის ახალ გამოშვებული სურათების საჯარო განხილვა. სტალინის სახ. კლუბმა უკვე ჩაატარა კინო-სურათის „ხაბარდის“ განხილვა. განზრახული აქვს მოაწყოს „უკანასკნელი მასკარადის“ განხილვა.

◆◆

ქრონიკა

დღეს, საღ. 8 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება მწერალ ლ. ასათიანის მოხსენება თემაზე: — „პოეტი ქალები“.

◆◆

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი იუწყება, რომ 22 იანვარს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია პარტქსელის მსმენელთა და პროპაგანდისტთა [illegible] რაიონული კონფერენცია, სადაც რაიკომის მდივანი [illegible] ახალაძე გააკეთებს მოხსენებას — „პარტგანათლების ქსელის სკოლების და წრეების მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ 4 თვის განმავლობაში“

პარტკომების მდივნებს და პარტორგანიზატორებს წინადადება ეძლევათ მათი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ ზემოდასახელებული ამხანაგების დასწრება.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი
21 იანვარს 4 აბონ. 6 წარმ. ჩიო-ჩიო-სან (ქ-ნი ბატერფლეი) 22 იანვარს წარმოდგ. არ არის
23 იანვარს 5 აბონ. 6 წარმ. ტრავიატა
24 იანვ. 2 წარმოდგ. დღისით სევილიის დალაქი საღამ. აბ. გარ. უკანასკნელად სამსონ და დალილა
„[illegible]“ ძე 43 კოლის ძიერ 24 იანვრის დილის [illegible] ბილ. [illegible]. ის აბონენტები რომლებსაც არ აქ ებათ შეტანილი მე 7 განსაზღვრა ყველა აბონემენტზე წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. ხოლო მათი [illegible] გაიყიდება. გადასახდელის მიღება და ბილეთების გაყიდვა წარმოებს ყოველდღე, დღისით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს. ბავშვები და მოწაფეები 17 წლამდე თეატრში არ დაიშვებიან. წარმ. დასაწყ. საღ. სრ 8 ს.

21 იანვარს 16 აბონ. 4 წარ. ინტერვენცია
22 იანვარს 9 აბ. 4 წარ. მაისტერ
23 იანვარს 6 აბონ. 4 წარ. მაისტერ
თებერვლის და მარტის თვის მუდმივი ბილეთების ტალონები დარიგდება 25 იანვრიდან თეატრის ბიბლიოთეკაში დილის 9-6 ს. 4 საათამდე. ადგილ ომების უბიდან კამოდ. წარმომ. დღეებში სათან. [illegible]. [illegible] [illegible]. შემოსანილი [illegible] თეატრის კალაროში წარმოდგენის [illegible] 2 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე

რუსთაველის სახ. თეატრი
21 იანვარს აბონ. № 14 ძე-4 წარმ. — წარმოდგენა № 65 ესკადრის დაღუპვა
22 იანვარს აბონ. გარეშე — წარმოდგენა № 66 ხინოშვილის გურია
23 იანვარს აბონ. გარეშე — წარმოდგენა № 67 მზის დაბნელება საქ.
[illegible] შევალდებულია [illegible] კადასახადი კალაროში დილ. 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6, 7-30, 9, 10-30
ხმოვანი ფილმი ხამი ხიმღერა ლენინზე დღისით 12 ს. და 1 ს. 30 წ. სეანსები მოწაფეებისათვის.
დამკვრელი 5-30, 8, 9-30, 11
მხატვრული ფილმი „უკრაინფილმის“ ნაწარმოები სპარტაკი (გლადიატორების ბელადი)
ტემპი [illegible]-30, [illegible], 9-30, 11
დადგმის მე-2 კვირა მხატვრ. ფილმი მთვარე მარცხნივ
ლუქსემბურგის სახ. [illegible]-30, 7-30, 9-10, 11
დადგმის მე-7 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი დღისით მოწაფე—დაბალ ფასებით
„26“-ის კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30
მხატვრული ფილმი ტუის ამბავი დღისით პროგრამა მოწაფეებისათვის
დღი 12 საათიდან 2 საათ მდე, საღ. 6 დან 8-მდე „ოქტომბერი“ „[illegible]“, „26 კომ. სახ.“ კინო-თეატრებში დირექტორებთა მიიღება [illegible] [illegible] დღის [illegible] ... ბან ძალლობ ში.

ტფილისის ქალაქის რკინიგზის
განცხადება
მგზავრების უკეთ მომსახურებისა და პირდაპირი მარშრუტის ვაგზალი. ელბაქიძის აღმართი, ვაკე და [illegible] ვაგონების ორის ინტერვალის შემცირების მიზნით.
20 იანვრიდან შემოღებულია შემდეგი ცვლილებანი მარშრუტების მიმართულებაში:
1. მარშრუტი № 3 – ვაგზალი. საბჭოთა ქუჩა, კარლ მარქსის მოედანი, ა. კ. ფედერაციის მოედანი და უკან—კარლ მარქსის მოედანი. პლეხანოვის პროსპექტი ძმ. შტაიდის ქუჩ., ვაგზალი.
2. მარშრუტი № 4—ვაგზალი, ვაგზლის ქუჩა პლეხანოვის პრ. კარლ მარქსის მოედანი ა. კ. ფედერაციის მოედანი და უკან—კარლ მარქსის მოედანი, საბჭოთა ქუჩა. ვაგზალი.
3 მარშრუტი № 5—ა. კ. ფედერაციის მოედანი, რუსთაველის პროსპ., ვაკე და უკან დაბრუნებით.
4. მარშრუტი № 20—ა. კ. ფედერაციის მოედანი, კომუნალური ქუჩა, ორთაჭალა და უკან დაბრუნებით.
5. მარშრუტი № ა—ვაგზალი, ძმ. შტაიდის ქ. პლეხანოვის პრ., ელბაქიძის აღმართი [illegible], სტუდენტთა ქალაქი (ვაკე) და უკან—ელბაქიძის დაღმართი, პლეხანოვის პროსპ., ვაგზლის ქ. ვაგზალი.
ტფილისის ქალ. რკინიგზის ტრესტის დირექტორი რუხაძე.

ქ. ტფილისის განსაზოგადოებულ სექტორის ყველა სავაჭრო-საპურ წვრილ წარმოება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელ პირთა საყურადღებოდ
ტფილისის საფინანსო აცხადებს განსაზოგადოებულ სექტორის ყველა სავაჭრო საიოეწველო წარმოება ორგანიზაციათა საყურადღებოდ ქარხნები, [illegible], სახელოსნოები, ბაზები, [illegible] და სარეწ კოოპერაციის არტელები და სხვა, რომ ისინი ვალდებული იყვნენ 1935 წ. [illegible] სავალდებულო [illegible] რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ იმ რაიონის განყოფილებაში, სადაც იმყოფება დასახელებული წარმოება-ორგანიზაციის გამგეობა ან სამმართველო.
მასთან ერთად თვითეულ სავაჭრო ან სამრეწველო წერტი ვალდებული იყო რაიფინგანისათვის წარედგინა ცნობა ფორმა № 4 ან 5 იმის შესახებ, რომ მათი ბრუნვა აღრიცხული და დაბეგრილი იქნება ცენტრალიზებულ წესით მათი სამმართველოს, გამგეობის ან ერთიანების კანტორის და სხ. მიერ.
ვინაიდან ასეთ რეგისტრაციაში არ გატარებულა ყველა წარმოება-ორგანიზაცია ტფილისის საფინანსო [illegible] იძლევა რათა რეგისტრაციის პროცესი დარჩენილი წარმოება-ორგანიზაციები გატარდნენ არა უგვიანეს ა. წ. 25 იანვრისა.
იმ წარმოება დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში [illegible] კანონიერად მიეცემათ ვადამდე, დაედებათ კანონით გათვალისწინებული საჯარიმო მაქსიმუმ ზომით.
ნ. 19 ტფილისის საფინანსო.

თანახმად ა-კ. სახკომსაბჭოს 1935 წლ. 2 იანვრის დადგენილებისა კოლხეთის ტ. მ. მეურნეობა და კოლხეთის ტ. მ. მომარაგების განყოფილება 1935 წლის 1ლ იანვრიდან ლიკვიდირებულია.
კოლხეთის ტ. მ. მ. და მომარაგების განყოფილების ლიკვიდაციისათვის დაკავშირებით ჩამოყალიბებულია სალიკვიდაციო კომისია.
ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს ევალება 1935 წლის 20 იანვრამდე წარუდგინონ სალიკვიდაციო კომისიაში კოლხეთის ტ. მ. მ. და მომარაგების განყოფილების მიმართ არსებული პრეტენზიები. მისამართი ფოთი, მახარაძის ქ. № 7, სალიკვიდაციო კომისია.
ნ. 25 კოლხეთის ტ. მ. მ. სალიკვიდაციო კომისია.

1935 წ. მიიღება ხელისმოწერა ჟურნალ „მნათობზე“
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო.
ერთი წლით — 24 მანეთი.
ექვსი თვით — 12 „
ხელისმოწერა მიიღება „სახელგამი“-ს პერიოდიკის ტორში, „სახელგამის“ მაღაზიებში, ფოსტა-ტელეგრაფში, ყველა კანტორაში და საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომებთან.
უფ. ჟურნ. „მნათობის“ გამომცემლობა.

საქ. ს. ს. რ. ავტო-გზის საწარმოო სამრეწველო კომბინატი
აწარმოებს მიღებას საშოფრო კურსებზე
განცხადებების და ცნობების მიღება ყოველდღე დღის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე—25 იანვრამდე.
მისამართი—ხაზურთალი, ლენინის ქ. № 85.
ნ. 26 დირექცია.

ქ. ტფილისის დაწე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ
ტფილისის საბჭოს საგამომცემლო სექტორის მიერ გამოშვებულია
ქ. ტფილისის ახალი გეგმა (მ. შტ. — 1/8.000)
გეგმების შეძენა შეიძლება ქ. ტფ. საბჭოს შენობაში, ოთახი № 3
ნ. 21 ტფ. საბჭოს საგამომცემლო სექტორი.

ტფილისის სატრიკოტაჟო ქარხანა
იღებს მოწაფეებს
ორივე სქესისას. სწავლა სრულდება მოკლე ვადაში.
მისამართი შავთელის ქ. 17 (ფოსტ. ანჩისხატის) 2— 472

ჰკარგული ჩამოთვლილი საბუთები რ. ვ.
სხვ. და სხვ.
7 წლედ. დამთ. მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი გარლამ ლავრენტის ძე კვანტალიანის, 7 წლ. დამთ მოწმობა ზინა სიმონის ასულ მიგრელიშვილის. სამხედრო წიგნაკი მიშა კრძელოვის. სამ დროო ბილეთი იოსებ დ. ვითაძის. პ. [illegible] წიგნაკი № [illegible] მართა ლოლოზაიძის. 7 წლ. დამთავრების მოწმობა რამაზ ლადოს-ძე ხანიაშვილის. ქვითარი გაც. აიაგის რაიტინოს პუნქტის მიერ ნაზო დიმიტრის ასულ მჭედლიშვილის წითელ პარტიზანელთა ძადატი № 1140 ალექსანდრე გერასის-ძე გოდელიძის. პენსიის წიგნაკი № 347 [illegible] ბალაძის. კავშირის წიგნაკი № 164 3 ალექს იდრე ივანეს-ძე აბრამაშვილის პასპორტი № Ա-144 479 ბიქტორ ბოლქვაძის. № 1

შვილები: რაფიელ, მაკარი, ივანე, ლრონიდე, კლავდია, ეფროსია, რძლები: ანეტა, ელენე, პასიკო, მარო და შვილიშვილები იუწყებიან
ბარბალე ამბაკოს ასულ გოგუაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 17 იანვარს.
1—1 6512

მე-14 სანიმუშო საშუალო სკოლის პედსაბჭო, ადგილკომი და მშობელთა დამხმარე საბჭო იუწყებიან დამკვრელ მასწავლებლის
ნინო (ნუცა) დგებუაძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 22 იანვარს 4 ს. ჩიტაძის ქ. 13 ამაღლების სასაფლაოზე.
1—1 6534

გიორგი ზაქარიას-ძე ხუციშვილი შვილით შალიკოთი იუწყება
ნაირა ხუციშვილის
გარდაცვალებას.
1—1 6541

დედა ოლინკა დგებუაძისა, დედები: მარიამი, მატრონა, კატო. ბიძა სოლომონ წერეთელი ოჯახით იუწყებიან შვილის, დისწულის
ნუცა დგებუაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 7 საათზე გამოსვენება 22 იანვარს 4 ს. ჩიტაძის ქ. № 13. ამაღლების სასაფლაოზე
1— 6536

ბაბო ცოცხალი და თამარ წულეისკირები იუწყებიან
ჟეთო წულეისკირის
გარდაცვალებას. გამოსვენება 21 იანვარს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე
1—1 6533

ექიმი აპოლონ პავლეს-ძე ელიაზბედ ახლოში, ასული, იგორი, ალექსანდრე ურუშაძეები და ზინა გავრილოვა იუწყებიან ძმის, მაზლის, ბიძის და მეგობრის
ვლადიმერ პავლეს-ძე ურუშაძის
გარდაცვალებას.
1—1 6519

მეუღლე მინადორა შვილებით: ლიდიი. ვასილი, აპოლონი ცოლშვილით ივანე, ნადეჟდა, ოლია ქმარშვილით მარო და ვარო კაპარაძეები იუწყებიან
ალექსი ეგნატეს-ძე კაპარაძის
გარდაცვალებას. 6525

ბაბუა ერასტი, ბებია მართა, ბიძები: სიმონ-ბიდრო, ივლიანე და ტერენტი გოჩოლეიშვილები თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან
ტატიანა პანტურია—ჩარგაზიას
1—1 უდროოდ გარდაცვალებას 6538

პიმენ ჩარგაზია პატარა შვილებით იუწყება მეუღლის
ტატიანა პანტურია—ჩარგაზიას
უდროოდ გარდაცვალებას ტფილისში. დასაფლავება 22 იანვარს
1—1 6537

განათლების განყოფილებასთან არსებული ისტორიისა და ლიტერატურის კაბინეტი, იუწყება აქტიური მასწავლებლის ბაბო წულუკიძის ერთადერთი ქალის
ქეთოს
1—1 უდროოდ გარდაცვალებას. 6535

მშობლები: ეფროსინე და მიხეილ ქარჩაშვილები, დეიდა სოფიო მარკოზაშვილი ჩილოლობას უცხადებენ თავიანთი თანაგრძნობა მსახურეებს, ტფ. მე-14 შრომის სკოლას ადმინისტრაციას, განსაკუთრებით მე-10 კლასის მოწაფეებს და ყველა იმათ, ვინც პატივი სცა უდროოდ დაკარგულ
თინა ქარჩაშვილის
1—1 ხსოვნას. 6540

დედა ნინა, ძმები: მიშა, გოგი. რძალი მარია გაბაშვილები, ბიძა რაფიელ შვილებით მერი, თინა ერისთავები. მამიდა მარიამ ყარალაშვილით გოგი გაბუნიები იუწყებიან საყვარელ
ვალოდა ალექსის-ძე გაბაშვილის
1—1 უდროოდ გარდაცვალებას 6547

დედიდა ალექსანდრა ლიაძე შვილებით, ნიკოლოზი, შალვა, კოტე, თამარა, ლევანი თავიანთი ოჯახებით იუწყებიან
ნაირა ხუციშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. ტფილისში
1—1 6539

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—68—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“, კაძოს ქ. № 58

მთავლიტის რწმუნებული 9498.